13 788

ფასი ნომრისა 10 კაპეიკი.

ივერია

№ 1

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი წლის დამლევამდი 3 მან.; ხუთი თვით 2 მან. | 1877—1906 | ადრესი: ტფილისი, ფრეიტინი ქ., № 5. ტელ. ფ. № 922.

 კვირა, 5 მარტი

სარჩევი: — **საქართველოს აკლება,** ფ. გოგიჩაიშვილისა. — **ღამე,** ლექსი ი. ევდოშვილისა. — **დღევანდელი ვითარება,** სტუმრისა. — **შავი დღეები,** კ. ა—ისა. — **გაკვრით,** მ. ყვარისა. — **რუსეთის ცხოვრება დეკემბრიდან ღღემდის,** ა—სა. — **ეროვნული საკითხი ავსტრიაში,** მ. ... ლისა. — **„შილიონის პატიმარის“ მიბაძვა, ტანისა,** თარგ. დ. თოფაშვილისა. — **საკვირაო,** ი. ევდოშვილისა. — **დედაკაცი ამერიკის შეერთებულ შტატებში,** ნ. ტ—ისა.

საქართველოს აკლება

სწორედ $2^1/_2$ თვე შესრულდა, რაც „ივერია“, სხვადასხვა ...ზეზთა გამო, არ გამოსულა და ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ...აშუალება არ გვქონდა მკითხველთან გვებაასნა და მისთვის ...ვენი საერთო საზოგადოებრივი ჭირი და ლხინი გაგვეზიარებ...ია. დროებით შეჩერებული „ივერია“ დღეიდან ისევ განაგრ...ობს არსებობას და ჩვენც ვკიდებთ ხელს ჩვენს ჩვეულებრივ ...ქმეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ცხოვრებაში სალხინოს და ...ასიხოვნოს ვერას ვხედავთ და ამ პირველ ნომრიდანვე მკი...ხველთან მარტოოდენ ჭირსა და უბედურებაზე უნდა ვიწყოთ ...ოპარაკი.

ყველა მიხვდება, თუ რა უბედურებას ვგულისხმობთ აქ. ...აა ის საშინელი აკლება და აოხრება, რომელიც წილად ...ვდა ჩვენს სამშობლოს ამ უკანასკნელ თვეების განმავლობაში ...ა რომლის მსგავსი რამ მომხდარა მხოლოდ — და ისიც იშვი...ად — წინანდელ შავბნელ და ბარბაროსულ საუკუნეებში. ამ ...ლება აოხრების ამბავი მკითხველმა კარგად იცის: რეაქციამ ...ეცხლითა და მახვილით გაანადგურა საქართველოს მთელი ...ფლები და ქალაქები, გასწყვიტა განურჩევლად დიდნი და ...ტარები, გააუპატიურა ქალები, აავსო ტუსაღებით საპყრო...ლეები და ამგვარად მთელ ქვეყანას დაუმტკიცა, რომ რუსე...ს მეფრობას შეუძლია გამარჯვება, — თუ შეიარაღებულ ...ონელებზე არა, უიარაღო ხალხსა და უმწეო ქალებზე ...ინც.

არიან ჩვენში ისეთი კაცები, რომელნიც უკანასკნელ სა...ნელ ამბების გამო სრულს უიმედობას ეძლევიან ჩვენი ...ოხრ მერმისის შესახებ. უ და აღვიაროთ, — ჩვენ ასე პესიმის...ე და უიმედოდ არ ვუცქერით ჩვენს ახლანდელ მდგო...ბას. არ ვუცქერით ასე არა იმიტომ, ვითომ სამშობლოს ...ელი აოხრება გულს არ გვიწამლავდეს, — აბა ვინ იქნება ...ოი, გარდა ზნეობით მახინისა, რომ ამაზე გული არ დაე... — არამედ იმის გამო, რომ ვიხსენებთ წარსულ ისტორიულ ...ალითებს და ვიცით, რომ აწოკება და განადგურება წინა... გამოუცდია ჩვენს მხარეს. ის ხალხი, რომელმაც მთელი ...ათასი წლის უბედური, ტანჯვითა და ვაებით აღსავსე ის...ია საქართველოსი გადაიტანა თავის თავზე, გაუძლებს და გადაიტანს იმ აოხრებასაც, რომელიც მას ეწია „განათლებულ“ მეოცე საუკუნეში. გადა ეტებული, სრულიად იმედს მოკლებული პესიმიზმი ნიშანია ან სილაჩრისა და ან მიმდინარე ცხოვრების შინაარსის გაუგებრობისა. რევოლუციას არ ნიშნავს მოკირწყლულ ტროტუარზე მშვიდად სეირნობას. მართალია, ჩვენ, ქართველებს, ფაქტიურად აჯანყება არ მოგვიხდენია და შეიარაღებულნი მთავრობის ჯარებს პირისპირ არ დავდგომივართ საბრძოლველად, მაგრამ სწორუფლებიანი მონაწილენი მაინც ვიყავით საერთო რუსეთის რევოლუციისა. და ასეთ გარემოებაში მეტად გულუბრყვილო უნდა იყოს ის ადამიანი, რომელიც მოწინააღმდეგის გამარჯვების დროს არ მოელის თავისთვის არავითარ ზარალს, პირველ ცეცხლისა და სისხლის დანახვისათანავე იწყებს მოთქმას და ეძლევა სასოწარკვეთილებასა და გაკვრვებას. ასეთი ცალმხრივი პოლიტიკოსი მოგვაგონებს იმ ახალგაზდა გასათხოვარ ქალს, რომელსაც ბავშვი შეეძინა და ძალიან უკვირდა ეს მოვლენა, ვინაიდან ეგონა, რომ ბავშვები მხოლოდ ქმრებს მოაქვთ ცოლებთან საჩუქრად.

დიდია ის ზარალი და შეურაცხყოფა, რომელიც გამოაცდევინა ქართველ ხალხს გამარჯვებულმა რეაქციამ, მაგრამ ცარიელ მოთქმით, რომ კიდეც დავიწყოთ მოთქმა-ტირილი, მდგომარეობა არ შეიცვლება, და იგი, ჩვენის აზრითა არც შეშვენის მწერლობას. ჟურნალისტის მოვალეობაა ცხოვრების მოვლენათა აკინძვა, ფაქტისა და მიზეზების ერთმანეთთან დაკავშირება და იქიდან გამომდინარე შედეგთა გარკვევა და გათვალისწინება. მაშ გადავხედოთ ამ მხრივ უკანასკნელ დამარცხებას და გავიგოთ, რას გვეუბნება იგი წარსულში და რას ეუბნეტყვის მომავალში.

საქართველოს ეხლანდელი აოხრება, უეჭველია, მჭიდროდ არის შეკავშირებული მთელი რუსეთის რევოლუციის სვე-ბედთან. როგორც რევოლუციის პირველი გამარჯვება ოქტომბერში ჩვენც გვხდა წილად, ისევე მეორე — დეკემბრის — გაფიცვის დამარცხების შემდეგ მთელს რუსეთში გამეფებული რეაქცია არ აგვცდა და წინანდელ დამარცხებისთვის მძიმე და თან უაზრო ხარკი გაგვაღებინა. ოქტომბრის საერთო პოლიტიკურ გაფიცვას, რომელსაც, შეიძლება ვთქვათ, მთელი რუსეთი ემხრობოდა, თანაუგრძნობდა და ეხმარებოდა, მთავრობა შეხვდა სრულიად მოუმზადებელი და ამიტომ, ე. ი. საწინააღმდეგოდ მოუმზადებლობისა და გაფიცვის ზნეობრივ ძლიერების გამო, იძულებული გახდა დაეთმო და ლიბერალური მანიფესტი გამოეცა. მაგრამ როგორც კი დემოკრატიულმა პარტიებმა იწყეს გამოცხადებულ თავისუფლებით სარგებლობა და თავის აზრების საჯაროდ გავრცელება, სამინისტრო მაშინვე თავისუფლების შეკვეცას შეუდგა და ხელად შესაფერი უთვალავი „დროებითი კანონები“ გამოსცა.

რევოლუციონურმა პარტიებმა მეიარაღებულ ბრძოლის საყვირი დაჰკრეს და ენერგიულ შეტაკებისთვის დაემზადნენ, მაგრამ ახლა მათ აღარ ჰყავდათ თავის მხარე ზედიდინაწილი იმ ხალხისა, რომელიც მათ პირველ გაფიცვის დროს მხარს უჭერდა. 17 ოქტომბრის მანიფესტით ლიბერალურმა ბურჟუაზიამ და თავად-აზნაურობამ მოიპოვა ის მთავარი უფლებები, რომლებიც მათ ხმასა და გავლენას აძლევს სახელმწიფოში, ხოლო რაც შეეხება დემოკრატიის განვითარებას, ეს მათ მისწრაფებას არ შეადგენს, — პირიქით, ეს მათის კლასობრივ საქმიანობის ხელის შემშლელია. გარდა ამისა, ისინი დააფრთხო სოციალიზმმაც, რომელსაც პირველ გამარჯვებით გატაცებული რევოლუციონერები ახლავე ხელს ჰკიდებდნენ განსახორციელებლად. და ასე, ბურჟუაზია და მემამულეთა კლასი, ლიბერალ კონსტიტუციონურ წესიერების მონატრე, სამინისტროსკენ გადაიხარა. ასეთივე ალღო აიღო აფიცრობამაც, რომელიც უმთავრესად იმავე ბურჟუაზიისა და თავადაბნაურობის წრიდან გამოსულ კაცებისაგან შესდგება. დარჩნენ მარტო რევოლუციონური პარტიები, რომელთაც გაფიცვის მოსახდენად საკუთარ ლაშქარშიაც შეუმცირდათ მომხრეები, რადგან პირველმა გაფიცვამ მუშა ხალხი ნივთიერად დაასუსტა და შიმშილის შიშმა მეორე გაფიცვისთვის სურვილი დააკარგვინა. ასეთ პირობებში, ცხადია, დეკემბრის გაფიცვა უნდა დამარცხებულიყო და კიდეც დამარცხდა. მოსკოვის ერთი მუჭა ხალხის აჯანყებაც მალე ჩააქრო აფიცრების მეთაურობით ჯარმა და რეაქციას სამოქმედოდ თავისუფალი გზა გაეხსნა. დაიწყო მთელს რუსეთში რევოლუციონერთა სასტიკი დევნა, რომელიც ყველას გაგებული ექნება გაზეთებიდან.

ხშირად გაბრაზებული მეგაზეთეები ვიტტეს უნიჭოს ეძახიან და მის უნიჭობას ასაბუთებენ იმით, რომ ვიტტეს კაბინეტი თითქმის არავითარ შემოქმედებით შრომას არ ეწევა ახალ წესწყობილების დასამყარებლად. ჩვენის აზრით, ვიტტეს ნიჭის ასეთი უარყოფითი დიაგნოზი დიდი შეცდომაა. ვიტტემ კარგად იცის, რაც მას უნდა, და შესაფერადაც იქცევა. 17 ოქტომბრის მანიფესტის საშუალებით მან გათიშა და გააცალკევა ოპოზიციონური ელემენტები რუსეთში, დაახანა განგეს სათათბიროს მოწვევა, დასტოვა საკმაო დრო, რომ პოლიტიკურ გაფიცვას ხალხის თვალში მიმზიდველობა მოჰკლებოდა და რევოლუციონური ენერგია სათათბიროს შეკრებამდის დახარჯულიყო. შემდეგ გაამეფა მთელს სახელმწიფოში გენერალ-გუბერნატორების დიქტატურა და ამგვარად სწადიან მთავრობის ტერორის ზედგავლენით გააჩუმოს ოპოზიცია არჩევნებისა და პარლამენტის მოქმედების პირველ ხანებში. მისი სურვილია რუსეთში „კონსტიტუციონურ თვითმპყრობელობის“ დამყარება, რომელთანაც, რა თქმა უნდა, შეუთანხმებელია დემოკრატია; და რომ ეს უკანასკნელი არ ახმაურდეს და ზომიერებს დინჯად საქმიანობა არ დაუშალოს, მის წინააღმდეგ არ ზოგავენ არც ტყვია-წამალს და არც ზარბაზნების ყუმბარებს.

ამგვარად, რამდენადაც რეაქცია საზოგადო მოვლენაა დღეს მთელ რუსეთის შინაურ ცხოვრებაში, იმდენადვე ქართველ ხალხის წინააღმდეგ მიღებული რეპრესიული ზომები მთავრობისა საერთო მოვლენის ნაწილს შეადგენს, რომელსაც იმ მთავარ მოვლენასთან ერთნაირი მიზეზი და საფუძველი აქვს. მაგრამ ზომა და ძალა რეპრესიულ ზომებისა ჩვენში დიდად განსხვავდება რეაქციის სისასტიკისაგან შიდა რუსეთში იქ ისეთ ბარბაროსობამდის არ მისულა რეაქცია, რომ მთელი ქალაქები და სოფლები გადაეწვა და ხალხი უბინოდ დაეტოვებინა. მოსკოვში მომხდარი დახვრეტა რევოლუციონერებისა აქ მაგალითად მოსატანი არ არის, რადგან იქ მაშინ შეიარაღებული ბრძოლა იყო გაჩაღებული. ჩვენში კი თუმცა ეს არ ყოფილა, მაგრამ სამხედრო წესის ძალა მთელი სოფლების განადგურების წინაშეც კი არ შედრკა. და ამ გადამეტებულ სისასტიკის ასახსნელად კი მარტო რევოლუციონური აღტყინება ქართველ ხალხისა არ კმარა. რევოლუციონურ მოძრაობას ჩვენში ჰქონდა განსაკუთრებული, თავისებური ელფერი და გამოხატულება, რომელმაც საბაბი მისცა რეაქციას, რუსეთის საზოგადოებრივ აზრს სრულებით არ მორიდებოდა და აქ მეტის სისასტიკითა და დაუნდობლობით ემოქმედნა.

რევოლუციონური მოძრაობა, რომელიც გაღვივდა საქართველოში, დაფუძნებულია ჩვენი ხალხის სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობაზე და მჭიდრო კავშირი აქვს ჩვენებურ სოციალდემოკრატიულ პარტიის განვითარებასთან. სხვა და სხვა მიზეზთა გამო, რომელთა ჩარკვევა ამ წერილის საგანს აგვაცდენს და ამიტომ აღარ გამოვუდგებით, ხსენებულმა პარტიამ დიდი გავლენა მოიპოვა არა თუ ქალაქის მუშებში, არამედ სოფლის გლეხობაშიაც. თუმცა გლეხობა ემხრობოდა ამ პარტიას არა იმიტომ, ვითომ მის პროგრამაში ეპოვნა თავის ეკონომიურ ინტერესთა დაკმაყოფილება, არამედ იმის გამო, რომ სოციალდემოკრატია, ვითარცა დემოკრატიული პარტია, დემოკრატიულ და, მაშასადამე, გლეხობისთვის სიმპატიურ პრინციპებს აღიარებს, მაგრამ ჩვენი სოციალდემოკრატები მტკიცედ იყვნენ დარწმუნებული და სხვებსაც არწმუნებდნენ, რომ მთელი ქართველი ხალხი მათ მხარეზე იყო და მათ პარტიულ ლაშქარს შეადგენდა. გარეგნობაც ხელს უწყობდა ასეთ რწმენას. იმის გამო, რომ ეს თითქმის ერთადერთი ენერგიული მომქმედი პარტია იყო, მან გავლენა მოიპოვა ბურჟუაზიაზედაც, ასე რომ მისი კომიტეტის გადაწყვეტილებას ვაჭარი ხალხიც ყველგან უსიტყვოდ ემორჩილებოდა.

ამ გარემოებამ დაჰბადა გაზვიადებული წარმოდგენა და აზრი თავის პარტიის ძლიერებაზე სოციალდემოკრატებში და, მოსალოდნელ გამარჯვების იმედით, გააძლიერა სურვილი რევოლუციონურ მოქმედებისა. ამის გამო მალე საქართველო გახდა არა თუ ამყოლი, არამედ ძლიერი ავანგარდი მთელი რუსეთის რევოლუციონურ მოძრაობისა. ასეთი აზრი შესდგა და გავრცელდა ქართველ ხალხის მოძრაობის შესახებ რუსეთის მოწინავე პრესსაში და ასეთად სთვლიდა მას რუსეთის მთავრობაც.

ამ მოძრაობას ნიშანი დაამჩნია ერთმა ჩვენმა საერთო ქართულ თვისებამაც. უკაცრავად კი ნუ ვიქნები და — ქართველებს გვიყვარს პრტყელ-პრტყელი და მაგარ-მაგარი ლაპარაკი, ხშირად სურვილს სინამდვილედ მივიღებთ და ჩვენს ანგარიშებს მასზე ვამყარებთ. ყოველ მიტინგზე, ყოველ საგიტაციო კრებაზე მუდამ ლაპარაკი იყო შეიარაღებულ შეტაკებაზე და ორატორები წინ და წინვე გამარჯვებას დღესასწაულობდნენ. სოციალდემოკრატიას 500 თოფი არ ჰქონდა ტფილისში რაზმების შესადგენად, იარაღისთვის ნამესტნიკს მიმართა, და იმავე დროს რუსეთის ლაშქარს უპირებდა იარაღით დამარცხებას. სურვილი გამარჯვებისა მან სინამდვილედ მიიჩნია. მთავრობა ამგვარ გაბერილ „რეჩებს“ ყურს უგდებდა, ზოგიერთ გაზეთებშიაც იმგვარსავე წერილებს კითხულობდა და რწმუნდებოდა, რომ „ტუზემცები“ მართლა აპირობენ მისი ლაშქრის წინააღმდეგ იარაღით გამოსვლას.

და აი, როცა მეორე გაფიცვა დამარცხდა და რეაქციამ თავისი საქმენი საგმირონი დაიწყო, ჩვენი მხარე არ დაივიწყა,—პირიქით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ „აჯანყების ძლიერ ბუდის დამშვიდებას“. აქ, „ტუზემცებთან“, საჭირო აღარ იყო ცერემონია, რადგან ოფიციალურად შეიძლებოდა მათი დასახვა მტრებად არა თუ არსებულ წეს-წყობილებისა, არამედ საერთოდ რუსეთის სახელმწიფოსიც. ბევრ ჩვენ მკითხველს ეცოდინება კიდეც, თუ როგორი წერილები იბეჭდება საქართველოს „დამშვიდების“ შესახებ ზოგიერთ სატახტო გაზეთებში მთავრობის აგენტებისაგან.

მართალია, თავისუფლების მოტრფიალე ხალხი დღეს დამორჩილებული და დასჯილია, მაგრამ შეცდომა იქმნება, თუ ვინმემ იფიქრა, რომ ეს გარემოება მთავრობის ნამდვილ გამარჯვების მომასწავებელია. ჯერ არც ერთ მთავრობას დედამიწის ზურგზე ხიშტითა და ზარბაზნებით ხალხის გული არ მოუგია და მასზე ზნეობრივად არ გაუმარჯვნია. რეაქცია ცეცხლს აძლევს და ანადგურებს იმ სახლებს, სადაც პროპაგანდისტები ეგულება, მაგრამ ვერც ერთი პროპაგანდისტი, თუნდა ქრისტეს მეორედ მოსვლამდის ელაპარაკნა, თავის დღეში ვერ იტყოდა და ვერ აგრძნობინებდა ხალხს მთავრობის წინაღმდეგ ამას, რასაც მთავრობა თავის წინააღმდეგ თავის მოქმედებით შვრება. ეს ისეთი პროპაგანდაა, რომელმაც, თუ სადმე იყო მთელი შემაერთებელი ხიდი, ჩასტეხა და მისი ხელახლად გამთელება შეუძლებელი გახადა. ეს არის ზნეობრივი დამარცხება რეაქციისა.

მაგრამ ამ შემთხვევაში ზნეობრივად დამარცხდა არა მარტო მთავრობა, არამედ მისი მტერი პარტია—სოციალდემოკრატიაც. ხალხმა ნათლად დაინახა, რომ ამ პარტიის წევრთა ბევრი „დაპირება“ და „განმარტება“ ცალიერი სიტყვები იყო და არა ნამდვილ ურთიერთობასა და რეალურ ძალთა განწყობილებაზე დაფუძნებული ცოდნა. უეჭველია, უკანასკნელ ამბების შემდეგ ამ პარტიას გამოჩენილად ჩამოშორდებიან ხალხის ის ელემენტები, რომელნიც პროგრამის შინაარსის შეგნების საფუძვლით არ იყვნენ მასთან შეერთებულნი.

ვამბობთ ამას არა იმიტომ, ვითომ გვიხაროდეს ამ პარტიის დამარცხება ამგვარად და ასეთ გარემოებაში. პირიქით, ეს დამარცხება სამწუხაროა, რადგან მასთან აუცილებლად შეკავშირებულია ხალხში იდეალურ მისწრაფების განელება. თავის მოტყუება იქმნება ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში შესაძლებელი იყოს განახლება იმ სულიერ აღფრთოვანებისა და რევოლუციონურ მისწრაფებისა, რომელიც განიცადა თითქმის მთელმა ქართველმა ხალხმა ამ უკანასკნელ წელიწადში. ეს მით უფრო ნაკლებ არის საფიქრებელი, რომ თვით რუსეთში რევოლუცია, ჩვენის აზრით, კარგა ხნით დამარცხებულია და დემოკრატიას მხოლოდ მოსალოდნელ ლიბერალურ სახელმწიფო წესწყობილების ფარგალში მოელის უფლებების მოსაპოებლად ბრძოლა და პოლიტიკური საქმიანობა.

ფ. კ. გაჩაიშვილი.

ღამე

ბნელა. ცას პირი მოუქუშია,
და მიკიოტი მხოლოდ გაჰკივის;
გული წაიღეს მწარე ფიქრებმა,
გული მიკვნესის, გული მიტირის!

—

არ ვიცი რადა, ამ წყვდიად ღამეს
რად მაგონდება მე განთიადი;
ველი, ოხ, ველი, როდის იქნება,
ცამ აიხადოს შავი პირბადი!

—

ხანდისხან ოხვრა, გმინვა, გოდება
მესმის, ეს ხმები ნაცნობი არი,
აჰა, აჩრდილი მოიწევს ჩემსკენ,
ჩემი ოთახის გაიღო კარი!

—

ფერმკრთალი სახე, გაშლილი მკერდი
სისხლს შეუღებავს, სისხლს მოუსვრია,
თითქოს სამშობლოს თვისი ნაღველი
მხოლოდ იმისთვის გადაუცია.

—

„გრცხვენოდეს“,—მესმის მისი ფურჩული,—
„გრცხვენოდეს ასე გულხელ დაკრეფილს,
„რომ ასე მშვიდად, ასე გულგრილად
„უყურს უგდებ კვნესას, ჩვენს ამოძახილს!

—

„რა დაგრჩენია, სამშობლო შენი
„მახვილმა სისხლით უკვე შეღება,
„საუკეთესო იმისი ძენი
„ხიშტსა და ტყვიას მან შეაგება!

—

„გიყვარს შენ დედა? გიყვარს და, ძმები?
„არა, ვეჭვობ, რომ არ გყვარებია
„გრცხვენოდეს,—ვხედავ, რომ ხმას არ იღებ,
„გრცხვენოდეს, მკლავი დაგლაჩრებია!“

—

გაჩუმდა იგი. ფიქრმა წამიღო,
კვლავ მიკიოტი მხოლოდ გაჰკივის:
ბნელა. ცას პირი მოუქუშია,
სამშობლო კერა კვნესის, კვლავ სტირის!

ი. ეგდოშვილი

ᲓᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

თითქმის სრული სამი თვე არის გასული მას შემდეგ, რაც „ივერია“ შეჩერდა. ამ სამი თვის განმავლობაში რუსეთის საზოგადო ცხოვრებამ სრულებით ახალი სახე და მიმართულება მიიღო. ოქტომბერსა და ნოემბერში ჯერ კიდევ ყველას უღვივოდა გულში იმედი, რომ მალე რუსეთის სახელმწიფო წეს-წყობილება ძირიანად შეიცვლებოდა, წეს რიგი დამყარდებოდა იქ, სადაც თვითმპყრობელობის დროს მხოლოდ ხალხის დაჩაგვრა იყო, მისი დამონება და გაყვლეფა ბიუროკრატიის სასიამოვნოდ და გასამდიდრებლად. ამის იმედს იძლეოდა არა 17 ოქტომბერს გამოცემული მთავრობის მანიფესტი, რომელიც მაშინაც ნაძალადევი იყო და არა გულწრფელად გამოცხადებული, არამედ ის გარემოება, რომ ხალხი საკვირველის ერთობით იქცევოდა, რომ ხალხის სხვა და სხვა კლასი ხელი-ხელ ჩაკიდებული ერთხმად და დაჟინებით ითხოვდა რეფორმებს და ებრძოდა ხალხისაგან ათვალწუნებულ თვითმპყრობელობას. მთავრობის ყოველ მოქმედებას, მის ყოველ სიტყვას ხალხი ერთნაირად უყურებდა და ერთნაირ მსჯავრს სდებდა. ამ ერთსულობის წინ მთავრობა შედრკა, იგი ძალა

უნეტურად იქცეოდა ისე, როგორც ხალხი ითხოვდა. მართლაც, რა შეუძლია მთავრობას, თუნდ ათას თოფ-ზარბაზანის მქონეს, ხალხის საწინააღმდეგოდ, როდესაც მთელი ხალხი, ერთ სულ და ერთ ხორცად ქცეული, მთავრობას მტრად ისახავს და მტრულად ექცევა: ათასგვარ მიტინგებზე ხალხი იკრიბებოდა თავის სურვილების გამოსათქმელად და ყველას იმედი ჰქონდა, რომ ამ საერთო სურვილებს მალე განხორციელებაც მოელის... ხალხი მსაჯულად იყო და ბიუროკრატია მის წინაშე დამნაშავეთა სკამზე იჯდა...

ის დრო წავიდა... ახლა ეს გუშინდელი ბრალდებული ისევ ძლევა-მოსილია და რუსეთის ყველა კუთხეში მძვინვარებს. ხალხს ხვრეტენ, სახლებს ანადგურებენ, სისხლით მოირწყო მიწა და მთელ რუსეთში თითქმის ერთი კუთხეც არ დარჩა, სადაც სისხლი არ დაღვრილიყოს. ეს გუშინდელი ბრალდებულები დღეს განუკითხველად მოქმედობენ და ხიშტით და ზარბაზნებით შურს იძიებენ გუშინდელ დამცირებისთვის. ბრალიანსა და უბრალოს, თავისუფლებისათვის მებრძოლს და უსუსურ ბავშვებსაც განურჩევლად ასალმებს ამ წუთის სოფელს სალდათის ტყვია, გასროლილი „მშვიდობიანობის“ დასამყარებლად!.. და ამ საშინელებას ხალხი ხმა გაკმენდილი შეჰყურებს, არსად მთელ რუსეთში ერთი საპროტესტო ხმაც აღარ ისმის, და საზოგადოების ერთი ნაწილი ხომ აშკარად ქება-დიდებასაც უძღვნის ჩვენი დროის აღა-მაჰმად ხანებს და მტარვალებს...

რა მიზანი აქვს ამ სისასტიკეს? რითი აიხსნება მათავრობის ასეთი ქცევა? შარშან მან თვითონ გამოაცხადა, რომ სისასტიკეს ხალხის დამშვიდება არ შეუძლია, მაშ რატომ იქცევა ახლა ასე სასტიკად? ნუ თუ მას ხალხის დამშვიდება არ უნდა, ან ეგება ის შარშანდელი განცხადება არ იყო მართალი? არა, ის განცხადება მართალი იყო, მაგრამ საშინელებაც ის არის, რომ ახლანდელი მთავრობა ხალხის დამშვიდებას აღარ ფიქრობს, მას ამოქმედებს მხოლოდ თავის დაცვის, ბატონობის შერჩენის სურვილი და ბატონობა კი მხოლოდ სისხლის ღვრით, ხალხის დახვრეტით, ქალაქების და სოფლების გადაწვით შეუძლია.

მაგრამ ამნაირ ზომებით მოპოვებული ბატონობა ხანგრძლივი ვერ გამოდგება, — მალე დადგება ის დრო, როდესაც ხალხს მოთმინების ფიალა აევსება და ერთხმად მოჰკითხავს პასუხს თავის მტარვალებს... ნამეტანი გულუბრყვილო უნდა იყოს ის ადამიანი, რომელიც იფიქრებს, რომ შეიძლება ძველ წყობილებას დაუბრუნდეს რუსეთის ხალხი და წინანდელივით მორჩილად აიტანოს თავისი გაყვლეფა და შეურაცხყოფა. განკითხვის დრო დადგება და ამ დროს მოვესწრობით ყველანი, ვისაც დღეს რუსეთში მოთარეშე ძალები ტყვიით, ზარბაზნით ან ხიშტით არ გამოასალმებენ სიცოცხლეს: მთავრობის სისასტიკე მხოლოდ სულთმობრძავ რეჟიმის უკანასკნელი ამოოხვრაა.

მაგრამ რატომ არის, რომ მთავრობამ თავისი ძალა წინეთ, ოქტომბერსა და ნოემბერში, არ გამოაჩინა? რატომ უთმობდა მაშინ ხალხის სურვილებს?

ამის მიზეზი ის განსაცვიფრებელი ერთსულობაა, რომელიც წარსულ წელს ეტყობოდა განმათავისუფლებელ მოძრაობას რუსეთში. სხვა და სხვა კლასის და მიმართულების წარმომადგენელნი ერთმანეთს უერთდებოდნენ ძველ წყობილებასთან ბრძოლაში. ოქტომბრის გაფიცვა მთელი რუსეთის, მთელი ხალხის საქმე იყო და სწორედ ამიტომ მან ასეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთავრობაზედაც. მომქმედ სარევოლუციო, ეგრედ წოდებულ „უკიდურეს“ პოლიტიკურ პარტიებს უერთდებოდნენ ზომიერი ელემენტებიც და მათ დროშის ქვეშ იბრძოდნენ რუსეთში ახალ წესწყობილების შემოსაღებად. ამ ბრძოლის შედეგიც თვალ საჩინო შეიქმნა. გამარჯვებამ გაიტაცა მოძრაობის სათავეში მყოფ პარტიების მეთაურები, — მათ სხვა და სხვა იმედები აღეძრათ, ფიქრობდნენ ამ პირველ იერიშს მეორესაც მივაყოლებთო, პოლიტიკურ რევოლუციასთან ერთად სოციალურ რევოლუციასაც მოვახდენთო, დაიწყეს ლაპარაკი, რომ მიწაზე კერძო საკუთრება უნდა მოისპოსო, რომ მუშა ხალხმა თავის ძალღონით უნდა შემოიღოს რვა საათის სამუშაო დღე, რომ დღესვე უნდა შემოვიდეს პროლეტარიატის დიქტატურა სახელმწიფოშიო. ოქტომბრის გაფიცვით მოპოვებულ უფლებების ცხოვრებაში გამოყენებას ხსენებული პარტიები არ ფიქრობდნენ და მხოლოდ ცდილობდნენ არ გაეჩერებინათ ხალხის მისწრაბება წინ, მუდამ წინ, იქით, სადაც ოდნავ ბჟუტავდა ახალ ცხოვრების შუქი, რომელსაც ჰქვიან სოციალური რევოლუცია.

ამნაირმა მისწრაფებამ შეაშინა ხალხის ზომიერი ელემენტები. მათის აზრით, სარევოლუციო მოქმედების გაგრძობა მხოლოდ გააძლიერებდა ამ უკიდურეს პარტიებს. „ზომიერ“ ელემენტების დახმარებით მოპოვებული პირველი გამარჯვება, „უკიდურესმა“ პარტიებმა მოინდომეს თვით ამ ზომიერების საწინააღმდეგოდ გამოეყენებინათ და ამან შემოიტანა განხეთქილება მთავრობის საწინააღმდეგოდ მომქმედ ელემენტებში. მთავრობამ ისარგებლა ამ განხეთქილებით, მოიხმარა გაფიცვების გამო გაბრაზებული ხალხის ნაწილი, მიიკედლა რუსეთის ყველა კუთხეში გამრავლებული შავი რაზმები, „პატრიოტ რუსთა“ წრეები და შეუდგა შურის ძიებას...

საშუალო საუკუნოებშიაც ძნელი წარმოსაღგენი იქმნებოდა ის სისასტიკე, რომელიც მოჰყვა ამ შურის ძიებას. ეს სისასტიკე თან და თან მატულობს. სატუსაღოებში ხალხი აღარ ეტევა და პეტერბურგიდან ყველა გუბერნიებში დეპეშებით ბრძანება გაიცა, რომ ტუსაღები ჯერ არ გაანთავისუფლონ. სამოცდა ათი ათასზე მეტი პოლიტიკური ტუსაღი დღეს ციხეებშია, რუსეთის ზოგიერთ ნაწილში განსაკუთრებული „დამსჯელი რაზმებია“ გაგზავნილი. ბალტიის მხარეში ამ რაზმებმა შვიდასზე მეტი ადამიანი განუსჯელად დახვრიტეს... იმერეთას ამბები ხომ ყველამ იცის, არ არის ადამიანი, რომელიც ყოველ დღე არ მოელოდეს დახვრეტას, დატუსაღებას, გაუპატიურებას ან გადაწვას და განადგურებას. ამის ჩამდენთ აღარავისი რცხვენია, საზოგადოების არ ერიდებათ, იციან რომ სულ ერთია, — ადრე იქმნება თუ გვიან, ჩამოეცლებათ ბატონობა და პასუხი მოეკითხებათ, და ცდილობენ, რაც შეიძლება დაახანონ ეს საშინელი დრო.

წინანდელ მმართველების ძალ-მომრეობამ შეჰქმნა რუსეთის ახლანდელი რევოლუცია, ვიტტემ და დურნოვომ წინანდელებს სისასტიკით გადააჭარბეს და ამიტომ ცხადია, რომ ის პასუხი, რომელსაც ამ სისასტიკის გამო მოსთხოვს ხალხი შემდეგში ამათ, უფრო საშინელი იქმნება, ვიდრე დღევანდლამდის მომხდარი ამბები იყო.

საზოგადოება მზად უნდა იყოს, რომ ღირსეულად დაუხვდეს მომავალს. საამისოდ კი საჭირო არის საზოგადო ძალთა თავის მოყრა, პოლიტიკურ პარტიების მოწყობა და გაძლიერება, მათი შეთანხმებული მოქმედება მოწინააღმდეგის დასამარცხებლად და ხალხის საწინამძღოლოდ. საზოგადო პროგრესიულ ძალთა გათიშვა, რომელმაც დეკემბრის გაფიცვაში

იჩინა თავი, მაზეზად გაუხდება ხალხის დამარცხებას, ცალკე პარტიების მისწრაფებას დიქტატორობისადმი მოჰყვება ბიუროკრატიის დიქტატორობა. მხოლოდ ყველა მოწინავე ელემენტის შეერთებულს და შეთანხმებულ მოქმედებას შეუძლია მოსპოს ძველ წყობილების მომხრეთა ძალა და სახელმწიფოში მკვიდრი საფუძველი ჩაუდგას ახალ წესწყობილებას.

სტუმარი.

ᲗᲐᲕᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ის, რაც ჩვენს ქვეყანას ეწია ამ ცოტა ხანში, მას არ ახლოს არასოდეს ხანგრძლივ ისტორიის განმავლობაში. შემოსევა ჩვენში მურვან-ყრუისა, თემურ-ლენგისა, შაჰ-აბაზისა და აღა-მაჰმად ხანისა უნდა ჩაითვალოს უბრალო სამხედრო აღლუმად დღევანდელ სამხედრო მოქმედებასთან შედარებით. ასეთი უბედურება ჩვენს სამშობლოს არ დასტეხია თავზედ არასოდეს. შეურაცხყოფა, დარბევა, აწიოკება, აკლება, დამცირება, გაქელვა, გადალახვა ყოველივე ზნეობრივისა და ქონებრივის ავლა-დიდებისა—აი, რა განვიცადეთ ჩვენ რუსეთის მხედრობისაგან უკანასკნელ დროს და განვიცადეთ ისეთის ზომითა და სისასტიკით, რომელთან შედარებით წარსული ბარბაროსობის დროინდელი ტანჯვა-ვაება დღესასწაულად მისაჩნევი არის.

დიადი მომენტი ჩვენის ცხოვრებისა ვალად გვადებს, ყოველ ჩვენს მოქმედებას დიდის დაკვირვებით მოვეკიდოთ. ჩვენი პასუხის გება ქვეყნის წინაშე დიდია, რადგან „სამშობლო განსაცდელშია“. ერთი შემცდარ ნაბიჯის გადადგმა, ერთი ყალბი მოქმედება შეიძლება ქვეყნის წინაშე ბოროტმოქმედებად შეიქმნეს, რადგან ტანჯულ ქვეყანას მეტად ფრთხილი აქიმობა ეპირვება. დღეს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში კრიზისია და პატარა შეცდომაც შესაძლოა გამოიწვიოს დიდი ზარალი, ხალხის დაქვეითება.

დღეს ყოველი წუთით უნდა ვისარგებლოთ, ყოველივე ღონე, ყოველივე ხერხი უნდა ვიხმაროთ, სამშობლო დავიხსნათ ასეთ დაქვეითებისაგან. არის ისეთი მომენტები ხალხის ცხოვრებაში, როცა ბევრი თავის თავად მნიშვნელოვანი საგანი მეორე ხარისხოვან ადგილს იკავებს და მხოლოდ ხალხის არსებობა ხდება გადასაწყვეტ საგნად. ამ საგნის ასე თუ ისე გადასაწყვეტად უნდა შეკრებილ იქმნეს მთელი ძალღონე ქვეყნისა.

ჩვენ წინ ერთი საკითხია: პასუხის გების მოთხოვნა იმათგან, ვინც ჩვენი სამშობლო ასეთს მდგომარეობაში ჩააგდო, შეუბრალებელი სამაგალითო დასჯა დამნაშავეთა, ხოლო მომავლისთვის ისეთ პირობების შექმნა, რომ ასეთი არა ადამიანური, ასეთი სისხლისა და ტვინის გამყინავი, შესაზარი მოვლენა აღარ იქმნეს შესაძლებელი.

ეს ორი საგანი უნდა აერთებდეს დღეს ყველა შეგნებულ ქართველს, მიუხედავად რწმენისა და მიმართულების სხვა-და სხვაობისა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რასაკვირველია, რომ ყველა ქართველი არაა შეშფოთებული და თავზარდაცემული ამ ამბებით, რომელიც ჩვენში მოხდა და დღესაც ხდება. დარწმუნებული ვართ, არიან არა თუ კერძო კაცები, თვით მთელი წრეებიც, რომელნიც, თუ ხმა მაღლა ვერ გაუბედნიათ „ოსანა მაღალთა შინას“ გალობა, გულში მაინც იცინიან და გაიძახიან: „ჰმ, ეგეც თქვენ, ეგეც თქვენი თავისუფლება, ეგეც თქვენი თვითმპყრობელობის დამხობაო“. დაგარწმუნებთ, არიან ჩვენში ისეთები, რომელნიც რუსის პატრიოტებსაც კი აჭარბებენ თავის პატრიოტობაში: «თქვენ (ე. ი. ქართველები) აუხიარდით თვითმპყრობელობას, თქვენ აუჯანყდით, თორემ რუსეთში ყველა ბედნიერი და კმაყოფილიაო. მაგრამ ჩვენ ამათთან საქმე არა გვაქვს. ჩვენ საქმე გვაქვს ჩვენი ხალხის იმ ნაწილებთან, რომელნიც, ზოგნი რეალურად და ზოგნიც მორალურად, განიცდიან და გრძნობენ ჩვენი სამშობლოს დღევანდელ აოხრებას და ხალხის გამწარებას. უეჭველია, რომ უუდიდესი ნაწილი ჩვენის ხალხისა სწორედ ამგვარის გრძნობით არის დღეს გამსჭვალული. და ეს გარემოება ნებას გვაძლევს ჩვენ ს არსებობის დაცვის საგანი წამოვაყენოთ და მთელი ძალა ჯერ-ჯერობით აქეთკენ მივმართოთ.

კარგად ვიცი, რომ ეხლავე „კლასობრივ განხეთქილების“ ჩაფუჩჩება წამოჰყოფს თავს ზოგიერთის თავში. მაგრამ ეგ ყოვლად უსაფუძვლო შენიშვნა იქმნება. ჯერ ერთი, არა თუ ჩაფუჩჩება, მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელმა დღემ კლასთა და წოდებათა გათიშვა უფრო ცხად ჰყობს და უფრო გაამწვავა, ვინაიდან ჩვენში მხოლოდ ჩაგრულთ, ტანჯულთ, ოფლითა ოვისითა პურის მომპოვებელთ გაიტაცებს რაიმე მაღალი აზრი, თორემ ჩვენს მუქთა-ხორა მქამელებს და მაძღრებს, რომელთათვისაც არავითარი შევიწროება და ტანჯვა არ არსებობს,—არც კერძო და არც ეროვნული,—არც კი შეუძლიანთ განიმსჭვალონ ჩვენის უძლურების საშინელებით; იმათ შეუძლიანთ მხოლოდ დასცინონ ყველაფერს: „თქვენი ბრალიაო,“ ე. ი. მომქედი პარტიები რომ ჩვენსავით წყნარად ყოფილიყავით, კარგად იქნებოდითო. მაგრამ ვინ არ იცის, რომ მათი სიწყნარე წუმპეს სიწყნარეა, რომელშიაც ჩაწოლა გაღორებას ნიშნავს, და გაღორება კი ყოველ ადამიანისთვის სიკვდილზე უარესია.

დღეკანდელმა დღემ, შესაძლოა, მთელი ჩვენი ისტორიის ბორბალი სხვა გვარად დააბრუნოს და ჩვენს ცხოვრებას სულ სხვა მიმართულება მისცეს. მხოლოდ ამისთვის საჭიროა შეგნებული და შეთანხმებული საქმიანობა

დღეს-დღეობით ერთად-ერთი ახლობელი გზა ის არის, რომ რუსეთის მომავალ ხალხის წარმომადგენლობისაგან მოვითხოვოთ ჩვენის შელახულ და შებღალულ უფლებების აღდგენა. ეს შესაძლოა მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ რუსეთის ხალხის წარმომადგენლებთან გვექნება საქმე. მაშ ყველაზედ უწინ უნდა ვეცადოთ, რომ რუსეთში ნამდვილი ხალხის წარმომადგენლობა იქმნეს განხორციელებული და ხალხის პირველ წარმომადგენლობას დამფუძნებელი უფლებები ექმნეს.

ერთად-ერთ საშუალებად ამ მიზნის მისაღწევად დღევანდელ გარემოების მიხედვით სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობის მიღება უნდა ჩაითვალოს. ყველგან, სადაც კი ძომხდარა რადიკალური ცვლილება სახელმწიფო წესწყობილებისა, მხოლოდ ხალხის წარმომადგენელთა დაწესებულების შემწეობით მომხდარა, რაგვარიც უნდა იყოს ეგ წარმომადგენლობა, რაგვარ ნაკლულევანებით აღსავსეც უნდა იყოს ოგი, ოგი მაინც ერთად-ერთი საფუძველია ძირითად ცვლილებათა მოსახდენად. მას აქვს დიდი ავტორიტეტი ხალხის თვალში, მის parole d'ordre-ს, მის გადაწყვეტილებას უფრო დიდი და საერთო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე რომელიმე კომიტეტისა გინდ კავშირის გადაწყვეტილებას.

ამ შემთხვევაში „ბოიკოტი“ სათათბიროსი პირდაპირ გაუგებარია და არავითარ მოსაზრებით მისი გამართლება არ შეიძლება.

ამგვარი მოქმედება მხოლოდ რუსეთის რევოლუციას შეუძლია წამოაყენოს, რადგან რუსეთის ხალხის ფილოსოფია ტოლსტოის ფილოსოფიაშია სავსებით გამოხატული. მთელი პასსივური, მონური ინდიფერენტიზმი, აპატია და ყოველივე ენერგიის დაკარგვა გამოიხატება მოძღვრებაში, რომელიც ღაღადებს: »არა წინააღუდგე ბოროტსა“. სწორედ მაგ ფილოსოფიის აღმსარებელს შეუძლია წარმოიდგინოს, რომ გაბუტვითა და გაჯავრებით რამე გაკეთდება ცხოვრებაში. რა მნიშვნელობა აქვს, ჯერ ერთი, „ბოიკოტს“ იქ, სადაც ეგ „ბოიკოტი“ არ იქმნება სრული და ნადვილი? „ბოიკოტს უცხადებს სათათბიროს საუკეთესო ელემენტი მოძრაობისა—უკიდურესი პარტიები, მაგრამ, რა თქმა უნდა, ასევე ბოიკოტს არ გამოუცხადებენ ამ დაწესებულებას ეგრედ წოდებული „წესიერების დამცველი“ პარტიები (სინამდვილესთან უფრო ახლო კი იქნებოდა, უწესოების დამცველად რომ ეღიარებიათ თავი). ასეთ გარემებაში შესდგება სათათბირო და რომელ ელემენტებს ექნებათ იქ მეტი ძალა, ეს ადვილი გამოსაცნობია.

ასეთ პარლამენტს ავტორიტეტი არ ექნებაო, იტყვის ვინმე. მართალია. მერე რა გამოდის აქედან? განა ვიტტედურნოვოს ბევრი მადრიელი ჰყავს ან მარჯვნივ და ან მარცხნივ? მიუხედავად ამისა, ხიშტებითა და ზარბაზნებით იგინი დღევანდელ დღის ბატონნი ბრძანდებიან. დღეს ძალა მათ ხელშია და რაც უნდათ, იმასა შვრებიან, ეხლა წარმოიდგინეთ, რომ შეიკრიბა პარლამენტი უმრავლეს კონსერვატორთაგან შემდგარი. მათ უეჭველად მომხრეებიც ეყოლებათ და ზარბაზნებიც მათ განკარგულებაში იქმნება. ნუ თუ ჰგონია ვინმეს, რომ იგინი ნაკლების ძალის მექონნი იქნებიან, ვიდრე დღევანდელი სამინისტრო? ყოველ წარმომადგენლობითი დაწესებულებას, რაც უნდა სუსტი და ჩათლახი იყოს იგი, უფრო დიდი ავტორიტეტი ექმნება, ვიდრე დესპოტიურ პოლიციას. საფრანგეთმა სისხლის ზღვაში ჩაახრჩო თვითმპყრობელობა, მაგრამ თითქმის მთელ საუკუნის განმავლობაში იგი, ამა თუ იმ სახით, თავს იჩენდა ხოლმე და ცხოვრებას მართავდა და განაგებდა. ნაპოლეონ მესამე წინდაწინვე უსახელებდა ამა თუ იმ დეპარტამენტს სადეპუტატო კანდიდატებს და ამგვარად შედგენილ პარლამენტით თითქმის მთელი ოცი წლის განმავლობაში განაგებდა იმ ქვეყანას, რომელმაც დიდი რევოლუცია მოახდინა.

ვიმეორებთ, იმისთანა „დუმას“, სადაც ერთი სახელოვანი და რიგიანი კაცი არ შევა, დიდი ავტორიტეტი არ ექმნება ხალხის თვალში, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ასეთ „დუმას“ შეუძლია რუსეთის ცხოვრების მეთაურის როლი ხუთ-ექვს წელიწადს მაინც აჩანჩალოს.

ერთად-ერთი იმედი კიდევ ის არის, რომ ევროპა „ბოიკოტიან“ „დუმას“ ეჰვის თვალით შეხედავს და ფულს არ ასესხებსო. ეგ მტკნარი ოცნებაა. საფრანგეთი ისე ჩახლართულია რუსეთის საქმეებში, რომ უეჭველად პირველივე შემთხვევით ისარგებლებს და ფულს მისცემს რუსეთს, თუნდა მარტო იმ მოსაზრებით, რომ თვითონ არ დაიღუპოს და რუსეთის გაკოტრებამ იგიც არ ჩაითრიოს. მთავრობა პოეტთა და ფილოსოფოსთა საფრანგეთისა ოცნებებსა და განყენებულ აზრებს არა სდევს,—იგი, როგორც ყოველი მთავრობა ყველგან, დღევანდელ დღეზე უფრო ფიქრობს და უმეტესობა იქაურ დეპუტატებისა პირად ინტერესს უფრო მაღლა აყენებს კაცობრიობის ინტერესზე. რუსეთის ფასიან ქაღალდების დაცემა საფრანგეთის დეპუტატებს არჩევნების დროს დიდად ავნებს და ამიტომ, უეჭველია, ისინი ეცდებიან, ეხლავე როგორმე საქმე გამოაკეთონ. მათთვის სრულიად საკმარისია, თუ რუსეთში სათათბირო შეიკრიბება, ხოლო იმას კი ყურადღებას არ მიაქცევენ, თუ რამდენად პროგრესიული ელფერი ექმნება ამ სათათბიროს.

„ბოიკოტს“ ექმნებოდა კიდევ მნიშვნელობა მაშინ, თუ დღევანდელი მთავრობა ძალიან გვეხვეწებოდეს,—მიიღეთ მონაწილეობა, „დუმაში“ მობრძანდითო. პირიქით, მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, როგორმე ჩამოიშოროს მოწინავე ელემენტები. არა თუ უკიდურეს პარტიებს, კონსტიტუციონალურ—დემოკრატიულ პარტიასაც სდევნის უმოწყალოდ; შეიძლება „17 ოქტომბრის პარტიასაც“ ასეთი ბედი ხვდეს, თუ ამ პარტიის მეთაურებად და წარმომადგენლებად მისი უკიდურესი ელემენტები შეიქმნენ. რა დაუშლის სისხლით დამთვრალ მთავრობას ცოტად თუ ბევრად გამოჩენილი ლიბერალებიც სხვა და სხვა ადგილას დაფანტოს? დღევანდელი მთავრობა ისეთ ბიუროკრატებსაც კი აღარ ერიდება, როგორც ტიმირიაზევია და კუტლერი, და განა სხვას დაინდობს! ასეთ გარემოებაში „ბოიკოტი“ არაფრით არ გაიმართლება, თუ არა იმით, რომ „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო“, მაგრამ ეგ ხომ მოქმედება და პროტესტი კი არა,—მალულობაა.

თუ რამ ძალა აქვთ მოწინავე პარტიებს, თუ რამე მოქმედების უნარი და წყურვილი აქვთ, თავიანთ დეპუტატებს გარედან მხარი უნდა მისცენ და წელი გაუმაგრონ. საფრანგეთის რევოლუციის დროს პარლამენტში კი არ ინგრევოდა ძველი წესწყობილება, არამედ პარლამენტის გარედ იშლებოდა ნაწილ-ნაწილ და შიგნით დეპუტატები ამ დაშლისა და დარღვევის ისტორიულ ოქმს აღგენდენ.

შეიძლება, პრინციპიალურად ვინმე წინააღმდეგი იყოს ყოველგვარ მთავრობისა, მაგრამ მაშინ სულ არ უნდა მიიღოს არავითარ პარლამენტში მონაწილეობა, როგორც ამას ჰქადაგებენ და ასრულებენ ანარხისტები. მხოლოდ რუსეთში დღეს ანარხისტებიც უნდა იყვნენ მომხრე „დუმაში“ მონაწილეობის მიღებისა, ვინაიდან „დუმა“ რუსეთის ძველ წესწყობილების დასარღვევად იკრიბება, და რამდენადაც ამ დაწესებულებას ძველის დამრღვევი ფუნქცია ექმნება, იმდენადვე მასში მონაწილეობა ანარქისტთა პრინციპებსაც კი არ ეწინააღმდეგება.

რამდენადაც ყოვლად შეუწყნარებელია რუსეთშიაც კი „დუმისთვის“ „ბოიკტის“ გამოცხადება, იმდენად მაგგვარი გადაწყვეტილება პირდაპირი ბოროტმოქმედებაა ჩვენი ხალხის წინაშე. რუსეთში უკიდურესს პარტიათა „ბოიკოტი“ ხელს ვერ შეუშლის ზომიერ პარტიებს თავის კანდიდატების გაყვანას. ჩვენში კი ერთად ერთი მომქმედი პარტიები ისევ უკიდურესი პარტიები არიან, და თუ ამათ გამოუცხადეს „ბოიკოტი“ „დუმას“,—რადგანაც საზოგადოდ კაცები ცოტა გვყავს და ვინცა გვყავს, თითებზე ჩამოითვლებიან,—შეიძლება ისეთი კაცები იქმნენ ამორჩეული, რომელნიც ჩვენს ინტერესებს ვერ დაიცავენ და პირველად პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლისათანავე საშინლად დაზარალებული და დამარცხებული დავრჩებით. სხვა არა იყოს რა, კაცები გვჭირია, რომელთაც ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა უნდა ამცნონ მთელ რუსეთის საუკეთესო ნაწილს და თვით ევროპასაც. ვის შეუძლია ესა ჰქმნას ისე კარგად, ისეთის ავტორიტეტით, როგორც მომავალ დეპუტატებს? წინად, სხვა გარემოებაში, რედაქციებსა და სხვა და სხვა კერძო დაწესებულებაში შე-

ვიკრიბებოდით და ვირჩევდით (ყველა მიმართულების წარმომადგენელნი) დეპუტატებს სხვა და სხვა გუბერნატორებთან თხოვნის მისართმევად; ნუ თუ დღეს არ უნდა ვისარგებლოთ შემთხვევით, რომ ჩვენი ერის მძიმე ჭრილობა საქვეყნოდ განვაცხადოთ, ვამცნოთ მთელს ქვეყნიერობას ჩვენი აუტანელი მდგომარეობა „მართლმადიდებელ რუსეთის“ ხელში, მივმართოთ რუსეთის ერის საუკეთესო ნაწილს საყვედურითა და პროტესტით და მოვითხოვოთ იმნაირად მოწყობილ იქმნეს ჩვენი მდგომარეობა, რომ შემდეგში ისეთი საზარელი, უმაგალითო ამბები აღარ მოხდეს, რაც ჩვენ ამ ორი-სამი თვის განმავლობაში თავზედ დაგვატყდა?!

ვერავინ შეგვწამებს, რომ ჩვენ ან ოპორტუნისტობას ვჩემულობდეთ, ან „ზომიერების“ განცხრომას ვეტრფიალებოდეთ. ზომიერებაც რომ ვყოფილიყავით, ნერვები და სისხლი კიდევ შეგვრჩენია, რათა გავმწარებულიყავით ჩვენი ბედკრული ქვეყნის აწიოკებითა და აოხრებით. რამდენადაც უფრო ცხარედ და მწვავედ გვაქვს შეგნებული ჩვენი უბედურება, იმდენად გატაცებულად გვწყურია მოქმედება, იმდენად უფრო საჭიროებულოდ მიგვაჩნია ყოველივე საშუალება ვსცადოთ ჩვენის უბედურების შესამსუბუქებლად. ხოლო ვერც ერთ ხალხის ისტორიაში ვერ ვნახეთ ჩვენ მაგალითი იმისი, რომ რომელსამე ხალხს ასეთ მომენტებში, როგორსაც ჩვენ განვიცდით, „ბოიკოტი“ გამოეცხადებინოს ხალხის წარმომადგენლობისათვის, რაც უნდა ცუდ ნიადაგზე იყოს ეგ წარმომადგენლობა აგებული.

ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებულ პირობებში ჩვენთვის აუცილებელია არჩეულ დეპუტატების საშუალებით მონაწილეობის მიღება „დუმაში“, რათა ამ დაწესებულების მოწინავე ელემენტებთან ერთად მთელი ჩვენი ძალღონით იერიში მივიტანოთ და ხელი შევუწყოთ იმ წესწყობილების დამხობას, რომელმაც ცეცხლსა და მახვილს მისცა მთელი საქართველო და შეჰქმნა ჩვენში საუკუნოდ დაუვიწყარი „შავი დღეები“.

Გ. Შ.

ᲒᲐᲫᲕᲠᲘᲗ

პოლიტიკურ პარტიების შექმნას და მოქმედებას ჩვენში ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. ძველ წყობილების საფუძველი ძირიანად შეინგრა. სამუდამოდ მოისპო ის საშინელი დრო, როდესაც ხალხი მორჩილად იტანდა თავის უუფლებობას და ცხოვრებაში გაბატონებულ უსამართლობას ურიგდებოდა. დიდი ხნის დაგუბებულმა ხალხის უკმაყოფილებამ თავი იჩინა, — ერთხმად და გაბედულად მოითხოვა ხალხის შეგნებულმა ნაწილმა სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობისთვის ხალხისგან არჩეულ წარმომადგენლების მოწვევა, მოითხოვა დამფუძნებელი კრება, რომელსაც უნდა შემოეღო რუსეთში ახალი წეს-წყობილება, — თანამედროვე ცხოვრების შესაფერი და ხალხის სურვილების გამომხატველი.

მთავრობამ ერთ ხანს თითქო დააპირაო ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება და გამოაცხადა. რომ მოწვეულ იქმნებიან ხალხის წარმომადგენლები სათათბიროში, მაგრამ ბოლოს კი, როდესაც აღმოჩნდა, რომ სათათბიროში ხალხი მთავრობის მორჩილებას, მის ფეხთა მტვერობას აღარ აპირებს და ჯირიქით ეცდება ხელმწიფე თავის სურვილებს დაუმორჩილოს, მთავრობამ თავისი მოქმედება შესცვალა და „თავგასულ“ ხალხის „მოსაკვიანებლად“ რუსეთიეს ყველა კუთხეში თოფ-ზარბაზნები დაგზავნა, სისხლით მორწყო მთელი ქვეყანა, ცეცხლით და მახვილით „დაამყარა მშვიდობიანობა“ სახელმწიფოში.

ეს მშვიდობიანობა გარეგანია. ერთხელვე გამოფხიზლებული ხალხი ძალით შეიძლება ისევე დაიმონავოს მთავრობამ, — მისი ხელახლად დაბრმავება და დაბეჩავება არ ძალუძს არავის, მართალია, დღეს ძველ წყობილების მომხრე ძალები თავისუფლად თარეშობენ რუსეთში, მაგრამ მათ თარეშს ხანგრძლივი ბატონობა აღარ აქვს, — ნამეტანი აშკარა შეიქმნა ყველასთვის მათი ზნეობრივი დამარცხება და არარაობა. ხალხი, რომელიც დღეს ძალის წინაშე ქედს იხრის და მისკენ მომართულ ხიშტსა მორჩილებას უცხადებს, არ დაივიწყებს შეურაცხყოფას და ხელს არ აიღებს თავის იდეალებზე, ეცდება მხოლოდ შემდეგისათვის გამოიყენოს წარსულის გამოცდილება, მეტის შეგნებით და მოიმზადებით დაიწყოს საქმე...

ეხლანდელი მდგომარეობა კარგი გაკვეთილია ყოველ პოლიტიკურ პარტიისათვის. იგი გვასწავლის, რომ რეალურ ცხოვრების პირობები მეტად რთულია, არ ემორჩილება საპროგრამო შაბლონებს და ამიტომ ყოველ პარტიის პროქტიკული მოქმედება ნამდვილ ცხოვრებაში არსებულ ურთიერთობასთან უნდა იყოს შეთანხმებული, სხვა და სხვა საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებაზე უნდა იყოს დამყარებული. არ კმარა თავის თავზე თქმა, უძლეველი ვარო, — ამის თქმა სუსტს უძლეველად არ გახდის; არ კმარა ბრძოლის დროს თოფ-ზარბაზნებით შეარაღებულ მოწინააღმდეგეს დასამარცხებლად გული გერჩოდეს, — საჭიროა ისეთივე თოფი და ზარბაზანი, საჭიროა ამ იარაღის გამოყენება; არ კმარა მომავალ წყობილებაზე აღფრთოვანებულ სიტყვების წარმოთქმა, საჭიროა აწმყოში მომქმედ საზოგადო ძალების გათვალისწინება და ამ ძალების გამოყენება გამარჯვების მოსაპოვებლად. თავის ქება, საკუთარ ძალებზე აზრის გადამეტება გამარჯვებას ვერ მოუპოვებს ვერავის, — პირიქით შეიძლება მან ისეთსავე უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდოს ადამიანი, როგორშიაც ჩავარდნენ ნვენებური სოციალდემოკრატიულ პარტიის ზოგიერთი წარმომადგენელნი, რომელნიც „ბურჟუებს“ წინდაწინვე უკიჟინებდნენ, ბარიკადებზე რომ წავალთ, თქვენ სარდაფებში დაიმალებითო, — ნამდვილად კი თოფის პირველსავე სროლაზე თვითონვე სარდაფებისაკენ გაქანებულნენ.

ეს გაქცევა დიდს არას აკლებდა ქვეყანას, ხოლოდ გამქცევის მხნეობას და ბაქიობას ახასიათებს: მაენებელი შეიქმნა ხალხისთვის მხოლოდ იმათი ქცევა, ვინც ირწმუნებოდა, — აშკარა ბრძოლისთვის საკმარისი ძალღონე შეგვწევსო და ჯარების დიდი ნაწილი ჩვენკენ არისო. ერთიც და მეორეც შემდეგ სიმართლეს მოკლებული გამოდგა: ამას საშინელი სისხლის ღვრა მოჰყვა, ქვეყნის აოხრება, ქალების გაუპატიურება, ხალხის ულუკმა პუროდ დაგდება: ისინი კი, ვის სიტყვასაც ხალხი ასე გულ უბრყვილოდ დაენდო, დღესაც სამშვიდობოში არიან გადამალულნი...

მაგრამ ხალხი, რომელიც ახლა წინანდელივით გულგრილად აღარ უყურებს საზოგადო საქმეებს, და რომელმაც შესწყვიტა კავშირი სახელმწიფოს ძველ წყობილებასთან, მათ მოქმედებასაც ჯეროვან მსჯავრს დასდებს. ჩვენ ვიცით ახლავე, რომ ისინი თავის გასამართლებლად შეეცდებიან პარტიულ პროგრამას შემოეფარონ და თავის დაცვის მაგიერად დაიცვან პროგრამმა, მაგრამ ცხადია, რომ აქ პარტიის პროგრამმა სრულებით მოსატანი არ არის, რომ ხალხს მხოლოდ პარტიის მოქმედებაზე ექმნება მსჯავრი, ვიცით აგრეთვე, რომ იტყვიან, — რუსეთის სხვა კუთხეებშიაც ასევე დამარცხდა ხალხი, მაგრა

სხვაგან დამარცხდა იარაღით ხელში საბრძოლველად გამოსული ხალხი, სადაც კი ის იარაღიც არსად სჩანდა, რომელიც პარტიის სახელითაართვეს პარტიის გარეშედ მყოფ საზოგადოებას მიელ იმერეთში. იქ, რუსეთში, ბრძოლის წინ პარტიაგანა ისეთსავე რიხითა და ზეიმით გამოდიოდა, როგორც ჩვენში, სადაც უკანასკნელ წუთს ჩამოიშორეს მოკავშირენი და ხალხში ნამდვილი თვითპყრობელური ბრძანებლობა დაიწყეს? როდესაც პლეხანოვი რუსეთში მუშათა პარტიას ძველი წყობილების დასამხობად ბურჟუაზიასთან შეკავშირებას ურჩევდა, ჩვენში ამ პარტიის გულუბყვრილო წარმომადგენლები თვით ბურჟუაზიის წევრებს აყვირებდნენ „ძირს ბურჟუაზია!“ და კიდევ მათ დახმარების მოიმედედ რჩებოდნენ!...

ყველა სახელმწიფოში, სადაც ხალხის წარმომადგენლობა არის შემოღებული, სადაც ისეთი წესწყობილება არის, როგორიც ჩვენ გვინდა შამოვიდეს რუსეთში, —გამგეობის სათავეში ყოფი სამინისტრო თავის მოქმედებაში პასუხის მგებელია ხალხის წარმომადგენელთა წინაშე და, როცა მოსთხოვენ ან თვითონ საჭიროდ ხედავს, საჯაროდ განმარტავს თავის მისწრაფებას და თავს იმართლებს, თუ მისი მოქმედება ვისმე ხალხისთვის მავნებელი ეჩვენა. ამნაირსავე მდგომარეობაშია ყოველი პოლიტიკური პარტია და მისი მეთაურები, ისინიც თავიანთ მოქმედებაში ხალხის წინაშე პასუხს აგებენ. სხვის შეცდომაზე მითითება თავის გამართლებად არ გამოდგება.

დღეიდან ჩვენში მოქმედობდა მხოლოდ ორი პოლიტიკური პარტია,— სოციალისტ-ფედერალისტებისა და სოციალ-დემოკრატების. განსაკუთრებით უკანასკნელმა მინდომა ჩვენში პოლიტიკურ პარტიობის მონოპოლიის დასაკუთრება, გაიძახოდა, ჩვენ „პირველმა დავიწყეთ საქმეო“ და სხვებს „უფლება არა აქვთ“ ახლა ხალხის ქომაგობა დაიწყონ, თითქო ამისთვისაც უფლება იყოს საჭირო. ცხადი კი არის, რომ მთელი ქართველი ერი, რომელიც სხვა და სხვა კლასებისაგან შესდგება, მხოლოდ სოციალისტურ პარტიის მომხრედ ვერ გამოდგება, რომ არის ერში საზოგადოებრივი ჯგუფები,— სოციალიზმის პირდაპირი მოწინააღმდეგე, რომელთაც დღეს კიდევ თავისი პარტია არა აქვთ და რომელნიც ამიტომ უკვე არსებულ პარტიებს ეკედლებიან, რადგანაც ხედავენ, რომ ეს პარტიები იბრძვიან სხვათა შორის პოლიტიკურ თავისუფლების მოსაპოვებლად მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა ასეთი ელემენტები უკვე მომქმედ პარტიებს მოშორდებიან და საკუთარ პარტიების სახით გამოვლენ, შესაძლებელი გახდება პარტიულ ძალის სისუსტრით გათვალისწინება, რაც დღეს არსებულ პარტიებს ვერ ეხერხებათ; მაშინ ყველა დაინახავს თავის ნამდვილ ძალას და მის გადამეტებით ისევ შეცდომაში არ ჩავარდება.

ხალხის ყოველი ნაწილი, რომელიც ცხოვრების ერთნაირ პირობებშია ჩაყენებული, შეიძლება ცალკე პარტიის სახით გამოვიდეს პოლიტიკურ ასპარეზზე.

ეს საერთო პირობები შეიძლება იყოს ეკონომიური, მაგრამ შეიძლება პარტიას საფუძვლად დაედოს, ეკონომიურს გარდა, კიდევ სხვა რამე მიზნების მიღწევაც. . იქ, მაგალითად, სადაც ერთი ერი სხვა ერისაგან არის დამონებული, სადაც ეროვნული დევნა მძვინვარებს, ეკონომიურ თანასწორობის გარდა ეროვნული თანასწორობაც ექმნება მიზნად. გაბატონებულ ეროვნებას სურს ყველგან მთელ სახელ-სახელმწიფოში მისი ენა იყოს ხმარებაში შემოღებული, მას საკუთარ დედაენის ცოდნა გზას უხსნის ყველგან, დაჩაგრულ ეროვნების ენა კი არსად არ გადის, ეროვნულად დამონებული იძულებული ხდება უცხო ენა ისწავლოს, რადგანაც მისი ენა სახელმწიფო დაწესებულებებში არ არის ცნობილი. აქ ორივე ეროვნებაში ინტერესთა პირდაპირი წინააღმდეგობა არსებობას.

შეიძლება, რასაკვირველია, გაბატონებულ ეროვნებაში ბევრი აღმოჩნდეს დამონებულის გულწრფელი თანამგრძნობი, მაგრამ მთელი გაბატონებული ერი, როგორც ერთეული, მის თანაგრძნობას ვერასოდეს ვერ მოახერხებს, —ისევე, როგორც ერთი კლასი ვერასოდეს ვერ მიეკედლება მეორე კლასს, მაგ. მთელი ბურჟუაზია პროლეტარიატს, თუმცა ხშირად მოხდება, რომ ზოგიერთი ბურჟუა პროლეტარიატის ინტერესთა სფერაში გადადის და მუშა ხალხის ინტერესებისათვის გულწრფელ ბრძოლას ეწევა.

ახლა, როდესაც ყველგან ქართველ მუშებს ითხოვენ, ბევ მათ ადგილებს მაშინვე იჭერენ რუსი მუშები,—შეიძლება „შეგნებული“ მუშებიც,—ჩვენებური სოციალდემოკრატები გვგონია, ისე გულგრილად და დაცინვით ვეღარ მოეპყრობიან ეროვნულ საკითხს, როგორც აქამდის ჩადიოდნენ. ისინი დაინახავენ, რომ თუმცა მათი იდეოლოგები ყველა დამოკიდებულ ერებს თვითგამორკვევის უფლებას ჰპირდებოდნენ, მაგრამ ამ უფლებისათვის გარანტიების, შესაფერ პირობების შექმნას კი საჭიროდ არ სთვლიდნენ... ამ დროს ეროვნულ საკითხის გადაფუჩეჩება ხალხის მტრობაა,—იგი ხელს უწყობს ხალხის დაჩაგვრას...

შეიძლება სთქვან, ეროვნული საკითხი ბურჟუაზიის მოგონილი არისო და ჩვენ „არ შეგვფერის“ მაზე დროს დაკარგვა და მის გულისთვის ბრძოლაო; შეიძლება სთქვან, ეროვნული მიმართულება შოვინისტური არისო, სხვა და სხვა ერებში სიძულვილისა და მტრობის მთესველი, მაგრამ ყველასთვის აშკარა არის, რომ ეს საყვედური შეიძლება ითქვას მხოლოდ გაბატონებულ ეროვნების ეროვნულ მოქმედებაზე. დამონებული, ჩაგრული თუ იბრძვის ყოველგვარ დაჩაგვრის მოსასპობლად, მას ეროვნულ დაჩაგვრის მოსპობაც უნდა დაედოს მიზნად. დამონებული ეროვნება ეროვნულ ბრძოლის დროს იბრძვის თანასწორ უფლების მოსაპოვებლად, ეროვნულ თავის დაცვაზე ხელის ამღები კი ხელს უწყობს თანასწორობის მოსპობას და მონობის გაძლიერებას.

იტყვიან, ეროვნული მიმართულება ხელს შეუშლის ეკონომიურ მიმართულებას, მაგრამ ეს შეცდომა არის. ავსტრალიის მუშები ინგლისის მუშებს მხარს უჭერდნენ გაფიცვების დროს, აუარებელ ფულებს გზავნიდნენ ინგლისში იქაურ ამხანაგების დასახმარებლად. გერმანელი პროლეტარიატი თანაგრძნობას და სოლიდარობას უცხადებდა საფრანგეთის მუშა ხალხს, მიუხედავად იმისა, რომ სხვა სახელმწიფოში ცხოვრობს და ეროვნულად დამოუკიდებელი არის. ასევე ქართველი მუშა ხალხიც ცალკე ერთეულად შეკავშირებული უფრო მეტის მხნეობით და ძლიერებით მოახერხებს სხვა ეროვნების მუშებთან ერთად ბრძოლას პროგრამაში დასახულ მომავლის დასამყარებლად.

როგორიც უნდა იყოს პოლიტიკური პარტია ჩვენში, იგი ძალა უნებურად ეროვნულიც უნდა შეიქმნეს.

მოყვარე

რუსეთის ცხოვრება დეკემბრიდან დღევანდლამდის.

ბირველი თავი რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობისა დასრულდა 17 ოქტომბერს; მეორე თავი ამ დღეს დაიწყო, ხოლო რადის დასრულდება, ამის თქმა ძნელია. ცხადია მხოლოდ ის,

რომ რუსეთის შინაური მდგომარეობა და მისი დიდიკა ადეს თუ ხვალ წერტილს დასვამს მეორე თავს და გაზაფხულზე მესამე თავსაც დაიწყებს.

დაწვრილებით აღწერა დეკემბრის ამბებისა—მოსკოვის აჯანყება, სპაროველის „დამშვიდება“, ლატიშების დასჯა და სხვა ათასგვარი და ათას ადგილას მომხდარი სარევოლუციო მოქმედება შეტად მიკვიჩნია; მკითხველებმა ისედაც კარგად იცით წარსულ შავი დღეების ისტორია.

საზოგადოდ დეკემბრის საერთო გაფიცვა და კერძოდ მოსკოვის აჯანყება დიდიკური დასკვნა იყო იმ შავბნელ რეაქციისა, რომელმაც მანიფესტის გამოცხადების მეორე დღესვე წამოჭეო თავი. ამ რეაქციამ ჯერ ოქტომბერშივე კადიხადა სისხლის ქელეხი და მთელი რუსეთი—არხანგელსკიდან ტფილისამდის და ტომსკიდან ვარშავამდის—სისხლით მორწეო. მაგრამ ესეც არ იკმარა და დეკემბერში ტეტხლითა და მასვიდით გაანადგურა 17 ოქტომბრის მანიფესტის ნაშთი.

მეორე საერთო გაფიცვა, რომელიც პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭომ გამოაცხადა, პეტერბურგს ვერც კი გაუმოსდა. ხანგძლივ და მედგარ ბრძოლის შემდეგ რუსეთის მშრომელ ხალხს არ შეეძლო დაუსვენებლად მეორე გაფიცვის გატანა და ამიტომ არ მიეშვრო ნოემბრის გაფიცვის. გარდა ამისა ის დემოკრატიული, ლიბერალური და რადიკალური ელემენტები, რომელნიც მანიფესტის გამოცხადებამდის მუშა ხალხს მხარში უდგნენ და მასთან ერთად ებრძოდნენ თვითმპყრობელობასა, 17 ოქტომბერს კარზე გადგნენ და გამანთავისუფლებელ მოძრაობას წერტილს დასმა განუზრახეს. მაგრამ ისტორიას დიდიკა ისე არ დაუმორჩილა ლიბერალებს, როგორც ისინი არ დაუმორჩილნენ მას. ბრძოლის ველზე მარტოდ დარჩენილმა და გამარჯვების სურვილით გატაცებულმა მუშა ხალხმა ვერ ასწონა მებრძოლ ძალთა ურთიერთობა და მ რტო თვითონ განიზრახა ლეღოს გატანა. მომავალ ბრძოლის დისპოზიცია შედგენილი არ იყო; საერთო გაფიცვამ და იოსტა-ტელეგრაფის უმოქმედობამ მთავრობა არია და ერთხელვე შეეშალეთ მოქმედების პროგრამა ჩაუშალა; მაგრამ ამავე გაფიცვამ რუსეთის სარევოლუციო არმიაც დაქსაქსა, ჰატარ-ჰატარა რაზმებად დაჭეო და ეოველი ასეთი რაზმი ღვთის ანაბარად დატოვა. როცა მოსკოვში აჯანყებამ იფეთქა, ვარშავისა და პეტერბურგის პროლეტარიატმა იქურ ჯარების მოსკოვში წასვლას ხელი ვერ შეუშალა და მოსკოველი მებრძოლნი მარტოდ დარჩნენ. საეროო გაფიცვა ტფილისში დეკემბრის მიწურულში გათავდა, მაგრამ ფოსტა-ტელეგრაფის უმონლობის გამო დასავლეთ საქართველოში გაფიცვას გათავება ვერ გიგეს და სარევოლუციო მოქმედება განაგრძეს. შედეგი ამისა ეველას თვალ-წინ გვიდგას.

მაგრამ გულუბრუველობა იქნება, რომ რევოლუციის დროებითი დამარცხება მარტო ძალთა დაჩქარებასა და დანაწილებას მივწეროთ. დამარცხება პირდაპირი შედეგია ათას სხვა და ს ვა ნაირ მაზეზისა, რომელთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკერავს იარაღის უქონლობას, მაპირდაპირის ძალ-ღონის აბუჩად აგ ებას და იარაღით—უფრო კი უიარაღოდ—გამოსვლას იქ, სადაც მტრის უპირატესობა და ძალა ცხადზედ უცხ დესია.

უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველ ხანებში მოსკოვის აჯანყების შესახებ მეტის მეტად გაზვიადებულ და გაბაჯარებულ ამბებს იწერებოდნენ. ეხლა დანამდვილებით გამოირკვა, რომ ეს აჯანყება მომზადებული არ იყო, მებრძოლთა რიცხვი 1000 ან 1500 კაცს არ აღემატებოდა და არც ისე კარგად იყვნენ შეიარაღებული, როგორც წინად ამბობდნენ.

მოსკოვის ცამარჯვებით გათამამებულმა და მკვდრეთით აღმდგარმა თვითმპყრობელობამ ხელი მაჭეო მთელ რუსეთს და საარაკო სისასტიკით შეებრძოლა არა მარტო რევოლუციას, არამედ ეოველ-გვარ ოპოზიციას. იმის გაბრაზებულ ხელს თავი ვერ დაიდწეს ვერც ზომიერმა ლიბერალებმა და ვერც მონარქიის მო ხრე კონსტიტუციონალისტებმა. კაეთორებული რეაქციის ნიაღვარი დაძრა, მთელი რუსეთი ჩაღეა და უველაფერი, რაც კი მის მრისხანებას წინ აღუდგა, გაანადგურა და მოსპო. ბოლოს სალმე იქამდის მივიდა, რომ რეაქციონერმა 17 ოქტომბრის კვეშირმაც კი ამოიღო ამოდენა და მთავრობას მოაგონა, აგრე შორს წასვლა შენთვისვე სახიფათოა. გასაკვრა თუ არა ამ გაფრთხილებამ, გონს მოიდა თუ არა თავაშეკეთილი ბიუროკრატია, ამას მომავალი გვიჩვენებს, ჯერ-ჯერობით კი ცხადია მხოლოდ ის, რომ რეაქცია არ ჩერდება და უეჭველად აპირობს სიდმე ხრამში კისრის მოტეხას მისი გაფთორება იქამდის მივიდა, რომ დღეანდელ თვითმპყრობელობის ერთგული მსახური, მინისტრები კეტლერი, და ტიმირიაზევი რევოლუციონერებად იქმნენ აღიარებული და საამსახურიდან გაეგდნენ. მინისტრ-პრეზიდენტის ვიტტეს სამინისტრო ფაქტიურად დურნოვის სამინისტროდ გადაიქცა; ტრეპოვი ისევ გაამოტა ჰოლტიკურ ასპარეზზე და დღემ ის სორეოში მიძალული „ჰატრიოტები“, „ნამდვილად რუსები“ და „წესიერების მომხრენი“ ისევ გამომზეკვდნენ. 17 ოქტომბრის მანიფესტი გაუქმებულ იქმნა უბრალო სიტეეთი: „დღესაც ისეთივე თვითმპყრობელი ვარ, როგორიც დღემდის ვიეოო“.

დღემდის მთავრობა აცხადებდა, სახელმწიფო სათათბიროს მხოლოდ მ.შინ მოვიწვევ, როცა ხალხი დამშვიდდებაო, ხალხი კი მაშინ დამშვიდდება, როცა სახელმწიფო სათათბიროს მოიწვევა. ხალხი „დამშვიდდა“ და სახელმწიფო სათათბიროც 27 აპრილს შეიკრიბა. დარჩა მხოლოდ არჩევნების მოხდენა. მაგრამ რუსეთის ბიუროკრატია არც ისე სულელია, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. მან კარგად იცოდა, რომ ტანჯული კანაპირა ქვეყნები სათათბიროში რადიკალების გაგზავნიდნენ და ამიტომ მშვენიერი ხერხი გამოიგონა: შეა რუსეთში ორი თვის წინად გამოაცხადა არჩევნების დაწეება, ხოლო კანაპირა ქვეყნებში საქმე ისე მოაწეო, რომ სათ თბიროს ბ.რველ სხდომაზე, რომელსაც შეეძლება დამფუძნებელი ფუნქციები ექნეს, კანაპირა ქვეყნებიდან ვერც ერთი დეპუტატი ვერ დ ესწროს. მართალია, შეა რუსეთსაც შეუძლიან რადიკალების არჩევა, მაგრამ მთავრობას საამისო იარაღიც ხელში უჭირავს: რადიკალ კანდიდატების დაბ ტ ერეა, მათი გადასახლება. საარჩევნო კრებების აკრძალვა, მაღალი ქონებრივი ცენზი და ბიუროკრატიული ძალმომრეობა. მაგრამ თუ ამ იარაღსაც ვერ უშველა და სათათბიროს უმეტესობა დიბერალებისაგან შესდგა, მთავრობას კიდევ რჩება ერთი გასაძრომი ხვრელი: ახალ მანიფესტში ნათქვამია, რომ სათათბიროს ევალება კანონ პროექტების განხილვა და სიტეკვაც არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ სათათბიროს კანონების გამოცემის უფლებაც აქვს. იქვე ისიც არის ნათქვამი, რომ ამ დროს, როცა სათათბირო დათხოვნილი იქნება „დასაკვენებლად“, მთავრობას ნება აქვს ამა თუ ამ დონისძიების მიღებისა. ჩვენუბურ ენაზე ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობას ნება იქნა უბრალო ბრძანების ფორმით ახალი კანონი გამოსცეს, ამხელრო წესები შემოიღოს და სახალხო ფული ისე მოიხმაროს, როგორც მისი სურვილი იქნება, ამრიგად, 17 ოქტომბრის მანიფესტის ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ „სახელმწიფო სათათბიროს დაუთანხმებლად არც ერთ კანონს ძალა არა აქვსო“ ახალ მანიფესტით გაუქმდა და იმის მაგივრად დაგვიბრდნენ ბიუროკრატიის წინანდელ თავგასულობასა, თვითნებობასა და ძალმომრეობასა.

მაგრამ მთავრობას თავის საშველად და სახალხო სასამართლოსაგან თავის დასაღწევად სწერია ჯარი და მოხელეები; ჯარისა და ოხელეების შესანახად საჭიროა ფული, მაგრამ ძალის თავიც აქ-

არის დამარხული—ფული არსად იშოვება. რუსეთის მთავრობა ორიოდე წლის წინად ადვილად შოულობდა ნახევარ მილიარდს, ეხლა კი ას მილიონსაც არავინ ეძლობა. სახლინს 150 მილიონი მანეთი მართებს ბანკირის შენდელსონისა და დღეს თუ ხვალ კაკახდის ვადაც დადგება. მთავრობამ შენდელსონის მოსარბილებლად ფინანსთა მინისტრად ნამეოფი კოკოვცევი კაკზავნა, რომელსაც ვადა უნდა კეკრძელებინა, მაგრამ შენდელსონი არ მოდა.

ამ რიგად რუსეთის მთავრობა თავისდა მოულოდნელად ევროპის ბურჟუაზიას ჩაუარდა ხელში ბურჟუაზია კი კაბეიკსაც არ ენდობა იმ დრომდის, სანამ რუსეთი არ დამშვიდდება. რუსეთი „დამშვიდდა“ და ს

ფედერაციას, რომელიც ისტორიულ—ტერიტორიულ პრინ-ციპზე უნდა იყოს აშენებულიო, ზოგი ეროვნულ ავტონო-მიას, ზოგი—ეროვნულ—ტერიტორიულსა და სხ. და სხ. დავა-ნებოთ თავი უკიდურეს ცენტრალისტებსა და სეპარატისტებს, რომელთაც ამ საკითხის გადაწყვეტაშა საიმედო მომავალი არა აქვთ, და გავსინჯოთ ავტონომისტების პროგრამები, რომელნიც სამ ჯგუფად იყოფიან: 1) ტერიტორიულ ავტო-ნომიის მომხრენი, 2) ეროვნულ-ტერიტორიულისა და 3) ეროვნულისა.

დიდი ხანია, რაც ავსტრიაში განხორციელებულია ტერი-ტორიულ ავტონომიის პრინციპი, მაგრამ ამ ავტონომიამ არა თუ ვერ გადასწყვიტა ეროვნული საკითხი,—პირიქით, უფრო უარესად დახლართა და ისეთ შევიწროვებულ და აუტანელ პირობებში ჩააყენა სუსტი და პატარა ერები, რომ ისინი მის შემომღებს სწყევლიან და სულ სხვაგვარ ავტონომიას თხო-ულობენ. ეროვნული შუღლი, როგორც ყოველგან, ენის საკითხის გარშემო ტრიალებს. ავსტრიის კონსტიტუციაში არის განთქმული მე-19 მუხლი, რომელიც ამ სახელმწიფოში მცხო-ვრებ ყველა ერს ენის თავისუფლებას ანიჭებს, მაგრამ ცარიელ სიტყვად რჩება. ენათა თავისუფლება ავსტრიის მთავრო-ბას ვერასგზით ვერ განუხორციელებია, და სწორედ ზედ-გამოჭრილია ამ კანონზე აზრი ერთ დიპლომატისა, რომელ-მაც სთქვა: „ავსტრიაში ეროვნულ შუღლს მხოლოდ მე-19 მუხლის მიერ დაპირებული ენათა თანასწორობის განხორციე-ლება უნდაო.“

1897 წელს ბადენის სამინისტროს საქმე გაუჭირდა და. ჩეხების გულის მოსაგებად, რომელნიც ოპოზიციაში იდგნენ და ენათა თანასწორობას თხოულობდნენ, და თავის დასახნე-ლად უბრალო განკარგულებით ბოჰემიაში გერმანული და ჩე-ხური ენები გაათანასწორა. ჩეხები, რასაკვირველია, დამშვიდ-დნენ. ოპოზიციაზე ხელი აიღეს და მთავრობას მიემხრნენ. სამაგიეროდ გერმანელები გაბრაზდნენ და ისეთი აყალ-მაყალი და აურ-ზაური ასტეხეს, რომ ბადენის სამინისტრო იძულებული გახდა სამსახურიდგან გასულიყო. მისი ადგილი დაიჭირა გრ. კლარის სამინისტრომ, რომელმაც გააუქმა ბადენის ბრძანება და გერმანულ ენას წინანდელი უპირატესობანი დაუბრუნა.

საზოგადოდ ავსტრიაში ენის გამო მუდამ შუღლი და შე-ტაკებაა. საკმაოა ახალ სასწავლებლის გახსნა ან ახალ მოხელის დანიშვნა, რომ გერმანელები ჩეხებს დაეძგერნენ, ჩეხები—გერმანელებს, იტალიელები—პოლონელებს და სხ. თუ ჩეხებმა განიზრახეს თავიანთ სამშობლოში ახალ სკოლის დაარსება, რომელშიაც სწავლა ჩეხურ ენაზე უნდა იყოს, იქ მცხოვრები გერმანელები და პოლონელები ერთ აყალ-მაყალს, აურ-ზაურს და ალიაქოთს ასტეხავენ ხოლმე. გერმანელები და პოლონე-ლები სამართლიან პროტესტს აცხადებენ და ამბობენ, რად უნდა დაიხარჯოს ჩვენი ფული იმ სასწავლებელზე, სადაც ჩეხურ ენაზე იქნება სწავლა და რომელიც ჩვენ შვილებს არ გამოადგებათო? ასევე იქცევიან პოლონელები ბოჰემიაში, ასევე იქცევა ყოველი ერი იმ პროვინციაში და იმ ავტონომიურ ოლქში, სადაც იგი უმცირესობას წარმოადგენს. ამით ავსტრი-აში მცხოვრები ერები ყოველთვის ერთმანეთს უთვალთვალე-ბენ, ერთმანეთს კრიჭაში უდგანან და ერთმანეთის განვითა-რებასა და კულტურულ ზრდას ხელს უშლიან. რამდენი ხანია, რაც იტალიელები თავიანთ პროვინციაში უნივერსიტეტის გახსნას თხოულობენ, მაგრამ ეს საქმე დღესაც ვერ განუხორცი-ელებიათ, რადგან მათ სურვილს წინ ეღობებიან გერმანე-ლები, რომელნიც ამ საქმის გამო შარშანისწინ ტრიესტში იტალიელებს დანებით დაერივნენ და სისხლი დაღვარეს.

მერე რა არის ასეთ შუღლისა და კინკლაობის მიზეზი? მიზეზი ბევრია, ხოლო უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ტერიტორიული ავტონომია ამა თუ იმ ავტონომიურ ოლქში არ უზრუნველჰყოფს უმცირეს ერის ინტერესებს და შიგ მოქ-ცეულ სუსტ ერს შესაჭამად პირში უდებს ძლიერ ერს, რო-მელიც თავის უმრავლესობით სარგებლობს და უმცირესობას ისე ექცევა, როგორც მისი საკუთარი ინტერესი მოითხოვს.

ტერიტორიულ ავტონომიას მრავალი მომხრე ჰყავს, რომელნიც ხშირად, გაუგებრობით თუ სხვა რაიმე აზრით, თავიანთ აზრს იმით ასაბუთებენ, ვითომ ტერიტორიული ავტო-ნომია ერთ რომელსამე ერს მეორე ერზე გაბატონების ნებას არ მისცემსო. ამ აზრის სრულს უსაფუძვლობასა და სიყა-ლბეს ამტკიცებს ჰუნგრეთის მაგალითი. ჰუნგრეთი, როგორც ვიცით, დაკავშირებულია ავსტრიასთან უნიით, რომელიც არა-ფრით განსხვავდება ტერიტორიულ ავტონომიისაგან იმ აზრით, რომ არც ერთი მათგანი არ უზრუნველჰყოფს უმცირესობის ინტერესებს. ჰუნგრეთის საზღვრები ისტორიულ პრინციპით არის შემოხაზული, რის გამო ჰუნგრეთს ერგო მრავალი პა-ტარა ერი; ზოგს მათგანს, მაგალითად, კროატიას, საკუთარი ტერიტორიაც აქვს და სეიმიც, ზოგს—არც ერთი აქვს და არც მეორე. ჰუნგრეთში 18 მილიონი მცხოვრებია. მათ შორის $7^1/_2$ მილიონი მადიარია, დანარჩენ $14^1/_2$ მილიონს ხუთი სხვა და სხვა ერი შეადგენს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რომ ჰუნგრეთში მცხოვრებ ერებს ერთნაირი საარჩევნო უფლება აქვთ, ბუდაპეშტის პარლამენტში $10^1/_2$ მილიონ ადა-მიანს ერთი დეპუტატიც არა ჰყავს.*) როგორც აქედან სჩანს, ჰუნგრეთის ტერიტორიულმა ავტონომიამ ვერაფერ უშველა $10^1/_2$ მილიონ კროატელსა, რუმინსა, სლოვაკსა, გერმანელსა და რუსინს. $7^1/_2$ მილიონმა მადიარმა ტერიტორიულ ავტო-ნომიით ისარგებლა და მთელი პარლამენტი და სახელმწიფო საქმეები ისე ჩაიგდო ხელში, რომ სხვა ერი კრინტსაც ვერ დასძრავს. ჰუნგრეთს რომ ეროვნული ავტონომია ჰქონდა, ე. ი. მადიარების საქმე მარტო მადიერებს რომ ჰქონოდათ ჩა-ბარებული, ან ჰუნგრეთს რომ ეთნიურ პრინციპზე დამყა-რებული ავტონომია ჰქონოდა, ე. ი. მარტო იმ ტერი-ტორიაზე ჰქონოდათ ავტონომია, რომელიც მადიარებს უპი-რავთ, მაშინ მადიარები სლოვაკებისა, რუმინებისა და კროა-ტების საქმეებში ვეღარ ჩაერეოდნენ და ეს ერებიც თავისუ-ფლად იცხოვრებდნენ.

ჰუნგრეთში, ავსტრიაში და საზოგადოდ სხვა სახელმწი-ფოებშიაც ძლიერ ერისგან სუსტ ერების დაჩაგვრას ცოტად თუ ბევრად მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო, როცა იმ ერებს, რომელთაც საკუთარი ტერიტორია აქვთ, მიეცემა ეთნიურ პრინციპზე დამყარებული ეროვნულ-ტერიტორიული ავტო-ნომია; იმ ერებს კი, რომელნიც აქა-იქ არიან გაფანტული, მიეცემათ ეროვნული ავტონომია. სწორედ ასეთ ავტონომიას თხოულობს ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარ-ტია და მას ემხრობიან ისეთი პარტიები, რომელნიც ეროვ-ნულ შოვინიზმით და გეგემონიის სურვილით არ არიან და-ბრმავებულნი. ეს პარტიები სავსებით უარჰყოფენ აწ არსებულს ტერიტორიულ ავტონომიას. ყოველ სოციალისტს, რომელიც თავის მოძღვრებას კლასიურ ბრძოლის თეორიაზე ამყარებს,

*) კროატელებს რამდენიმე დეპუტატი ჰყავთ, მაგრამ ისინი, თავიანთ საკუთარ საქმეების გარდა, საერთო საქმეების განხილვაში მონაწილეობას არ იღებენ და არც კენჭი ეძლევათ.

კარგად ესმის, რომ ეროვნული დაჩაგვრა და შევიწროვება მუშა ხალხსაც უღვიძებს ეროვნულ შოვინიზმს, რაიც დიდად ხელს უშლის მის კლასობრივ შეგნების განვითარებას, — ამიტომ ავსტრიის სოციალ-დემოკრატიაც იმდენად ებრძვის ეროვნულ დაჩაგვრას, რამდენადაც მუშებში ამ დაჩაგვრის მიერ გამოწვეული ეროვნული შოვინიზმი აბრკოლებს კლასობრივ შეგნების განვითარებას. ამ პარტიაში ეროვნულ საკითხის შესახებ ორი მიმართულებაა: უმრავლესობა პარტიისა და პარტიული პროგრამაც ემხრობა ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას. ხოლო უმცირობა—ეროვნულ ავტონომიას. მუშათა პარტიამ ავსტრიას მშვენიერი მაგალითი აჩვენა და დაუმტკიცა, რომ ეროვნულ ავტონომიის განხორციელება შეიძლება. ამ ჟამად ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტია შესდგება ეროვნულ პარტიებისგან და ყოველ ასეთ პარტიას მინიჭებული აქვს ეროვნული ავტონომია. ყოველ ამისთანა ავტონომიურ პარტიას (პარტია გერმანელ მუშებისა, ჩეხელ მუშებისა, პოლონელ მუშებისა და სხ.) საკუთარი ეროვნული საბჭო აქვს. ამ პარტიებს აერთებს პარტიის ყოველწლიური საზოგადო კრება, რომელზედაც ესწრებიან ყველა ეროვნების მუშათა დელეგატები. მუშათა პარტიის უმცირესობის აზრით, „სადაც უნდა ცხოვრობდნენ ჩეხი, გერმანელი, პოლონელი და სხ., ისინი მაინც უნდა ირიცხებოდნენ ჩეხურ, გერმანულ და პოლონურ ეროვნულ კავშირებში (თუ, რასაკვირველია, სურთ) და ამ კავშირთა ეროვნულმა საბჭოებმა მათის სულიერ და კულტურულ მოთხოვნილებებისათვის უნდა იზრუნონ სწორედ ისე, როგორც იქცევა ეკლესია, რომელიც ზრუნავს თავის წევრებზე, თუნდ ისინი ცხრა მთას იქითაც ცხოვრობდნენ.“

ახლა ვნახოთ, რა აზრისა არიან ამავე საგნის შესახებ ავსტრიის სხვა და სხვა პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწენი. ცნობილი იურისტი და ავსტრიის კარგი მცოდნე რუდოლფ შპრინგერი თავის თხზულებაში „Derkampf der Oesterreichischen Nationen um den Staat“ დაწვრილებით იკვლევს ზემოხსენებულ საკითხს და ასეთ პასუხს იძლევა: ავსტრიის დაყოფა ტერიტორიულ ავტონომიებად ავსტრიისთვის უდიდესი უბედურებაა. შპრინგერი ამტკიცებს, რომ ავსტრიაში ეროვნული შუღლი მხოლოდ მაშინ მოისპობა, როცა აწ არსებულ ტერიტორიულ ავტონომიების მაგივრად ავსტრიის სახელმწიფო ეროვნულ ავტონომიებად დაიყოფა. ამავე საკითხის მეორე მკვლევარი პ. ზვეზდიჩი გადაჭრით ამბობს, რომ „საქმე იმ დრომდის არ გადაწყდება, სანამ ყოველ ეროვნებას არ მიეცემა სრული თავისუფლება თავის ეროვნულ ცხოვრება-განვითარებაში. ავსტრიაში არსებულ ეროვნულ მოძრაობის ბელადები და თეორეტიკოსები ამ საკითხის გადაწყვეტას იმით კი არ ცდილობენ, რომ ყოველ ეროვნებას ეს უფლებები მოუპოვონ, არამედ უნდათ ავტონომიები მოუპოვონ იმ ოლქებს, სადაც ესა თუ ის ეროვნება ცხოვრობს.“

როცა ავსტრიელები ცხადად დარწმუნდნენ, რომ ცენტრალისტურ-ატომისტურ პრინციპზე აშენებულმა ავტონომიამ ეროვნული მტრობა და შუღლი ვერ მოსპო, არამედ, პირიქით, გაამწვავა კიდეც, ერთა თანასწორობისა და თავისუფლების მომხრე პარტიებმა უკუაგდეს ეს პრინციპი და იმის მაგივრად წამოაყენეს ეთნიურ პრინციპზე დამყარებული ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია, რომლის თანახმად ყოველ ეროვნებას ავტონომია უნდა მიენიჭოს იმ ტერიტორიის საზღვრებში, რომელიც მას ფაქტიურად უჭირავს. ამ პრინციპის თანახმად ავსტრიაში ფედერაციის შემოღების დროს ავსტრია უნდა დაიყოს ჩეხებისა, გერმანელებისა, იტალიელებისა, პოლონელებისა, რუსინებისა, სლოვაკებისა, კროატელებისა და მადიარების ტერიტორიებად და ყველა ამ ტერიტორიას მიენიჭოს ავტონომია ეს პრინციპი უარჰყოფს აწ არსებულ ავტონომიას ბოჰემიისას, გალიციისას, ჰუნგრეთისას და მათ მაგივრად, როგორც ზემოდაც ვთქვით, აარსებს ჩეხებისა, პოლონელებისა და მადიარების ავტონომიებს. ცხადია, რომ ყოველ ასეთ ავტონომიურ ტერიტორიაზე მოჰყვებიან სხვა მცირე რიცხვოვანი ერებიც, და რომ ესენი ეროვნულ—ტერიტორიულ ავტონომიის დროსაც ეროვნულად არ დაიჩაგრნენ, ამიტომ ზემოხსენებულ თეორიის მომხრენი თხოულობენ, რომ ასეთ ავტონომიურ ოლქებში მოყოლებულ სუსტ ერთა ეროვნულ და კულტურულ თავისუფლების ხელუხლებლობა უნდა უზრუნველ ყოფილ იქმნას ცენტრალურ მთავრობისგან და სახელმწიფოს ძირითად კანონებით.

პრინციპი ავსტრიის დაყოფისა ეროვნულ-ტერიტორიულ და ეროვნულ-ავტონომიებად თანდათან აუარებელ მომხრეებს პოულობს. მაგრამ ამ პრინციპს თავისი მტრებიცა ჰყავს. ამ პრინციპით ავსტრიის დაყოფას მძლავრად ეწინააღმდეგებიან ჰუნგრეთის მაგნატები (გრაფ აპპონისა, ბანფისა და ანდრაშის პარტიები), რომელთაც, რასაკვირველია, არ ესიამოვნებათ $10^{1/2}$ მილიონ მოხარკის დაკარგვა და ჰუნგრეთის ორად გაყოფა; ეროვნულ ავტონომიის გაგება არც გალიციის შლიახტას ესიამოვნება, არც ბოჰემიის მოვინისტებს და არც პანგერმანელებს; ესენი დაჟინებით თხოულობენ,—იმ ოლქებში სადაც ჩვენი მონათესავე ერი უმცირესობას შეადგენს, ეროვნულ—ტერიტორიული ავტონომია უნდა შემოვიღოთო, მაგრამ როცა საქმე იმათ საკუთარ ტერიტორიაზე მიდგება ხოლმე, ისინი ცივ უარზე დგებიან და ხელიდან არ უშვებენ დამორჩილებულ სუსტ ერებს.

ასეთი მდგომარეობა დიდ ხანს ვერ ვაგრძელდება. ხალხი დაიღალა მუდმივ ჩხუბით და ბრძოლით; დადგა ის დრო, როცა ხალხმა გაიგო, რომ უაზრო და უნაყოფო ბრძოლით მხოლოდ თავის თავს აზარალებს, რომ ეს შუღლი ხელს უშლის ყოველ ეროვნებისა და მთელ სახელმწიფოს კულტურულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებას და თუ ეს უაზრო და სტიქიური ბრძოლა კიდევ გაგრძელდა, ისედაც ჩამორჩენილ ავსტრიას დაღუპვა მოელის. ერთა შაბლონურ თანასწორობით, ავსტრიის კონსტიტუციის მკვდარ მე-19 მუხლითა და ერთმანეთის ჯიბრით ერთა ნამდვილ თანასწორობის დამყარება და ერთა შუღლის მოსპობა შეუძლებელია. ავსტრია ხელმეორედ უნდა გამოიჭრას, მისი შინაური საზღვრები უნდა ტეიცვალოს. იმ ერებს რომელთაც საკუთარი ტერიტორია აქვთ, უნდა მიეცეს ეროვნულ—ტერიტორიული ავტონომია ეთნიურ პრინციპზე დამყარებული, ვისაც არა აქვს,—უნდა მიეცეს ეროვნული ავტონომია. ყოველ ავტონომიურ ოლქში მცირე რიცხვოვან ერების კულტურულ და ეროვნულ თავისუფლების ხელუხლებლობა უნდა უზრუნველ ყოფილ იქმნას სახელმწიფოს ძირითად კანონებით. ეს არის ერთად-ერთი სამართლიანი გადაწყვეტა ეროვნულ საკითხისა და გარეშე ამისა ავსტრიაში ეროვნულ დევნის მოსასპობი გზა არ არსებობს.

მ. ად—ლი.

„ᲨᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲛᲐᲠᲘᲡ“ ᲛᲘᲑᲐᲫᲕᲐ

(ტანისა)

I

ბნელი საკანის მცირე სარკმლისკენ
მიბურობილ პქონდა მარადის თვალი,
მაგრამ აქვე ამართულიეო
ციხის კედელი ერუ, გაუვალი!
ირგვლივ სიჩუმე სამარეებრივი,
არსაიდან ხმა, არც ვინ გამგონი!
ცივ ზღუჟ. კედლებს სულ დაეჩრდილა
ჩემთვის ნათელი ცის კაბადონი.
ბნელ კუნაბეტით იყო მოსილი
ჩემი სამყოფი და საბინადრო,
მხოლოდ შორიდან ობლად მოკრთოდა
სხივი ჩემ-კერძი და საწყალხვედრო.
და გაზთეხულის ცელქი სხივები
ჩემს ბნელსა სარკმელს რომ აწყდებოდა,
შიგ ვერ ატანდა და უმად გზაში
ციხის ცივ-კედლებს ზედ აკიდებოდა!
ჩემთვის არც შვება, არც სიხარული,
არც შებრალება, არც სასოება,
საამქვეყნიო ჯილდოდ მხვდა მხოლოდ
გულტივი ქვეყნის ამაოება!..
მხოლოდ სინდახან განთიადისას
გულის ამტოკად და ამაძგერად
სხივი ნაბერწკალი გადმომწვდებოდა,
ისიც ხან მოკლედ და წუთიერად!
ხოლო როდესაც ღამის წყვდიადი
გადეკვროდა რა არე-მარეს,
ციხის თაღთ შორის ფეტრეტდი ერთ ვარსკვლავს
მგრთალად მბჟუტავსა, ხან მოელვარეს.
და როცა სარკმლით მის მგრთალი სხივი
ბნელ ჯურღმულში მეოფს გადმომწვდებოდა,
ის თითქო რადაც ძრწოლით, კანკალით
მეძებდა იქ და მეკითხებოდა:
„სად ხარ, ბედშავო, მტარვალის მსხვერპლო?
ან ტოტხალი ხარ კიდევ განაო?
თუ ბნელ ჯურღმულის წიალში მეოფი
სიკვდილმა ქვესკნელს ჩაგიტანაო?“
მე კი ცივ კედელს ზედ მიყრდობილი
ვიდუქ მდუმარედ სულ-განაბული
და იმ მოთოდვარე სხივის ძებნაში
რადაც სხვა გვარად მიძგერდა გული...
ის ცივ, სამარულ კედლების შუა
სულის მნათობად მევდინებოდა
და ჩემს ეოფაზე, ასე მეკონა,
თითქო ისიც ტრემლად დნებოდა.
ოჰ, ვით ავწერო ტანჯვის უდელი,
თუ ვით ვიდოდი კუბოს კარამდე!..
ეს ტანჯვა გულში ჩამარხულია
ამიერიდან უკუნისამდე!
იქ საიდუმლოდ დატულ იქმნება...
და თუ ოდესმე მედარსა მეცა
და, დღეს ბირ-მქუში, წარბებ-შეკრილი
გამისხიოსნდა ოდესმე ზეცა, —
ვაჭმე! იმ დროსვე იფეთქებს იგი,
რომ მომიწამლოს კვლავ ტკბილი წამი
და შხამ ძირმწარედ გულს დაუბრუნოს
ურვა-წუხილი, სევდა-ვარამი!..
ახ, ვით ნათელ ვეო საიდუმლობა
და სისხლიანი ძველ წულულთ კვალი,
რომ ჩაეხედო მასში ეკლანი
და ზედ მივეფერა სხვებისაც თვალი!..
მე თქვენს წინაშე, რომ მქონდეს ძალა,
მკერდს გავიხობდი მწრული მახვილით
და მთა და ბარსა ავ-კვნესებდი
ტანჯული გულის ამოძახილით!..
ან ტვინს ავხდიდი სიცო-სარქველსა
და ეოველ-ვეს თქვენვე ნახვდით:
ტანჯვა-წუხილის საშინელ ამბებს
მის ნაოჭებში წაიკითხვდით!..
სად გაქრნენ წელნი, როცა მრისხინედ
მთა-ბარს ესმოდა ჩემი ძახილი
და დაუცხრომელ რისხვად ქცეულსა
მტრის კულ-გაშმობი შეეფრა მახვილი!..
როცა მონობის ბორკილთ სამსხვრევად
მივისწრაფოდი კამეხებული...
მაგრამ ოჰ, ვაჭმე! ოვით დავიმსხვერი,
ვით ნავი კლდეზე მიჯახებული!

II

მახსოვს, სიცხადით გაბოროტებულს
რომ ხეთი დაშე არ მძინებია,
მაგრამ დაღლვა მით ამ ჩემს თვალებს
ოდნავც კი არ მაჭკარებია!..
ერუ კედლებ შუა ჩემს ცივ საკანში
წყვდიადი იყო კამეფებული,
მხოლოდ ბჟუტავდა ოდნავ სანათი,
იგიც სინათლე—კამოლეული!..
იმისი შუქი კამწკარტლულ წერზე
დაბრბაცობდა რაღაც მკრთალ ლანდად...
ამ დროს, — არ ვიცი, როგორ, — სიიდან,
რა მომეჩვენა სიზმრად თუ ცხადად, —
ოდაც უკუნეთ ბნელში ვცურავდი,
სად მეფობს ძალა ის უკეთური,
და ისმის კმინვა გულ-შეშფოთარი,
ხანაც ხარხარი ჯოჯოხეთური!..
სადაც საშინელ ტანჯვა ვეებს
არ უნანს ბოლო არც დასასრული,
და მარად მდუმარს ზეცის წინაშე
არც შეწყალება, არც სიბრალული!..
სადაც სიკეთე ბოროტად ქმნილა,
შურის-ძიებად თვით შემოქმედი
და მარად, მარად კარისხებული
კვალ და კვალ მდევნის უწყალო ბედი!..
ეს იყო ციხის ზღუდეთა შორის,
ბდოვამ მოიცვა მიდამო-არე
და ციხის ეოველ კუთხით კაცსა
მხოლოდ სიმწარე, მხოლოდ სიმწარე!..
საერთო ბდოვა და დრანტელი
სადაც შორეთ შორს მიეისწრაფოდა

და საშინელი გლოვის სურათი
ამ ტუკობიდან ქვეყნად გაჭქონდა!..
ხმა იზრდებოდა დარაჯთა თვალწინ,
ხმა საშინელი და უძლეველი:
წეევა და კრულვა, რისხვა-მუქარა
და ხან ჩურჩული გაურკვეველი...
შორით იწკეოდა გამოძახილსა
ტრემლმორეული გლოვა-კოდებ-
და კიდით-კიდე ეფინებოდა
შურის ძიებად ეს მოწოდება!..
და ეს ხმა იყო წარსულ-აწმყოსი,
კვალი ძველ კენესა-ტკივილებისა,
ეს იყო თითქო კედლების ერუ ხმა
და თან ჩხარუნი ბორკილებისა!..
ხმა უდმობელი შურის ძიების
ისმოდა ეველგან და ეოველი მხრით,
თითქო მკვდრებისა ასეულები
ახალ ტანჯვისთვის ადგეენო მკვდრეთით!..
მინელდა ხმები, ეს ტანჯვის ხმები,
მე კი ვიდექი ხელ-ჯვარედინათ
ამ მოლოდინში, რომ კიდევ მწვავ ხმებს
ეოველი კუთხით ამოეგმანათ.
მაგრამ, ოჰ, ძალამ ბოროტებისამ
აწ უკვე ალარ დაიკვეანა:
გვრძნობ, რომ კამოდის საშიში მხეცი
თვით ჯოჯოხეთის წიაღიდანა.
საზიზღარია და საშინელი,
ბალნით მოსილი, ბრეწეალებიანი,
ბინა-დაბზენილი, ვით ჯოჯოხეთი
და, კბილების წილ, ეშვებიანი!..
ის თვალებს ტეტხლებრ აბრიალებდა;
ვიცან, ვინც იყო და ან რა რჯული:
ალქაჯის სახით გამოეცხადა
თვით უმოწეალო ჩვენი მსაჯული!
ტოტვით და მალვით მეპარებოდა;
მეც ხმა-გაკმენდით ვინაბეზოდი
და უცბათ, რადაც ვეღურ ღრიალით
ამ ჩემს მტარვალსა მიეეარდებოდი!
მაგრამ, ბოროტი, ეოველს ჩემს მიხვრას
საოცარ მკვეთრად ადევნებდა თვალს
და სანამ მე მას ხელით ვწვდებოდი,
უკვე კარგავდა ახრდილივით კვალს!
ახლა კი სხვა მხრით არ მასვენებდა.
მდევნიდა მარად შეჩვენებული,
სანამ გასთიაღს ვეღირსებოდი
ტანჯული ბოდვით, მისუსტებული.

დ. თომა შვილი.

ᲡᲐᲫᲕᲘᲠᲐᲝ

განქრნენ, წარვიდნენ ნეტარნი წუთნი ! მხოლოდ დაგვრჩა ჩვენ მოგონება!

დიახ, მოგონება, ვითარცა ტკბილი სიზმარის, ვითარცა ზამთარში გაზაფხულის ვარდისა, რომელმაც ვერ მოასწრო გაფურჩქნა, გადაშლა, რომ დაეტკბო არე-მარე, და ჩაქკნა, ჩაყვითლდა უდროოდ.

რა იქმნა ის თავისუფალი სიტყვა, რა იქმნა ის თავისუფალი ამონაკვნესი, მრავალ საუკუნეებით გულში ჩაგუბებული ნაღველი, რა იქმნა ის ღიმილი, რომელმაც შეითამაშა ტანჯული ხალხის ტუჩებზე 17 ოქტომბერს, რა იქმნა ის აღფრთოვანებული იმედები უფრო მეტის მოპოებისა? სადა ხართ თქვენ, განთიადის მერცხლებო?

პასუხი მწარეა!

მწარეა, ვითართა კაზაკის მათრახი.

მწარეა, ვითარცა ბორკილი.

მწარეა, ვითარცა ბნელი საკანი.

როგორც მუშტი ყანყრატოში! როგორც ჯალათის თოკი კისერზე!

როგორც დათვის კლანჭები გულ-ბოყვში, და ყოველივე ეს კი დღეს ჩვენს ავლა დიდებას შეადგენს.

დიახ, ჩვენ მხოლოდ მოგონებაღა დაგვრჩა, ვით გადაშლილის ვარდისა, და დღეს კი მის მაგიერ ვუცქერით ნადირთაგან აოხრებულს წალკოტს.

მაგრამ იმედი, კვალად იმედი.
ჩვენ არა გვტოვებს, კვლავ გვაფროოვანებს,
და რომ ხელები დავუშვათ ძირსა,
ნუ, ნუ ჰგონიათ მტარვალ-ბატონებს!...
დადგება წუთი, უფრო ძლიერად
ტალღა-ტალღაზე დაჰკრავს, იქუხებს,
და განთიადი მთელის დიდებით
ხალხის გულიდან ამოაშუქებს!

* * *

დიახ, ეს წუთი დადგება, მაგრამ მანამდე კი ბევრს მამალს წასწყდება კისერი, ბევრი საქათმე დაობლდება, ბევრს გაულურჯდება ბიბილო, ბევრს დაეხევა ქათიბი, როგორც ამ დღეებში უდროოდ გამოასალმეს ერთი თბილისელი „კუკურეკუ“ (სატირიული გაზეთი). საწყალმა, ამოიყივლა პირველი, ვერ მოასწრო მეორე და სტაცეს კისერში ხელი. თავი და ბოლო მამლის დანაშაულისა, როდესაც იგი მიიყვანეს სამსჯავროში, მუხლებად აღინუსხა:

1) ყვირის მეტისმეტად ხმა მაღლა და ძილს გვიშლის.

2) მანვე, „კუკურეკუმ“, შელახა და შებღალა მსუქან ინდოურების ღირსება.

3) იგივე „კუკურეკუ“ გაკადნიერდა და ჩირქი მოსცხო მრავალ წარჩინებულ ბატებს, რომელნი სასარგებლონი არიან ეზოში წესრიგის დასამყარებლად.

4) იგივე „კუკურეკუ“ შეეხო ეზოს სხვადასხვა საპირ-ბოროტო კითხვებს, რომელნიც ნება აქვთ განიხილონ მხოლოდ და მხოლოდ იმავე ინდოურებს, რაც მოხდება მომავალ ბატ-ინდოურთა კრებაზე, რაიცა ნაქებია საყოველთაოდ.

ერთის სიტვით, ბრალდება დიდია, და ვერც „კუკურეკუმ“ აიცდინა მზარეულის დანა.

გამოასალმეს, უდროოდ მოაშორეს მზეს...
საჯეკუნოდ იყოს ხსენება შენი, მებრძოლო მამალო!

* * *

ასევე იყოს ხსენება ისტორიასა შიგან ბ-ნ ·ხატისოვისა, კაცისა დიდგულოვანისა, ორატორისა ენაწყლიანისა და „დაშნაკცუტუნის“ ადვოკატისა; აპატიოს მას ალაჰმა გულახდილობა მისი ნებითი თუ უნებლიეთი, რამეთუ არა ყოველი კაცის გული მართალ არს.

დავამტკიცოთ ეს გულახ დილობა, რათა არა გვწამოს ცილი თვით ხატისოვმა. ამოვწეროთ მისი სიტყვები საგულისხმონი, რომელნიც ღაღად ჰყო მან სომეხ-თათარ დელეგატთა კრებაზე სასახლის დარბაზში.

„დაშნაკცუტიუნთა პარტია აღორძინდა განთავისუფლების მოძრაობის დროს, ორთავიან არწივის მფარველობის ქვეშ და იმ ზოგიერთ გამოჩენილ რუსების თვალწინ, როგორიც არის გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვიო“.

საინტ;რესოა, რას იტყოდა ამაზე თავ. გოლიცინი.

საინტერესოა აგრეთვე, რას იტყვის დაშნაკცუტუნთა პარტიის კომიტეტი: მართლა ითვლებიან თუ არა ორთავიანი არწივი და გრაფ ვორონცოვ-დაშკოვი პარტიის წევრად.

„დაშნაკცუტუნთა პარტიის მოღვაწეობა იგივეა, რაც რუსეთის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთშიო, განაგრძობს ბ. ხატისოვი ეს არის იდეა და გაგრძელება რუსეთის დიად მოღვაწეობისა მახლობელ აღმოსავლეთშიო“.

უდანოდ დაკლაო, რომ იტყვიან, სწორედ ეს არის. რაღა მეუდაბნოესა და დათვის ამბავი და რაღა ეს მეგობრული ქომაგობა დაშნაკელთა! კიდევ კარგი, რომ ბ. ხატისოვმა ჯამაგირი არ ითხოვა ხაზინიდან დაშნაკელთა პარტიისათვის.

„იყოს მჭრელი რუსეთის მეფის ხმალიო“, ნატრობს ბ. ხატისოვი. გვიკვირს, რატომ არ ჩაეწერა ეს ორატორი რუსეთის ჯარში შორეულ აღმოსავლეთში.

***

ვახარებ ბ-ნ ხატისოვს ერთს ახალ რამზის შედგენას „ხმლის სიმახვილის აღსამატებლად“.

ეს რაზმი სდგება ახალ ათონის მონასტერში. 27 თებერვალს ნამესტნიკს წარუდგა იქაურ ბერების დეპუტაცია და მონასტრისთვის ითხოვა 100 ბერდანის თოფი. თავის დაცვის უფლება, რასაკვირველია, ყოველ სულდგმულს აქვს, მაგრამ ათონის ბერების წინააღმდეგ რომ რომელიმე ლაშქარი ემზადებოდეს საომრად წასვლას, ჯერ არ გვსმენია. ეტყობა, მანჯურიისს გამოცდილებამ ასწავლა ათონის ბერებს, რომ მტერთან ხატებით ბრძოლა საიმედო არაა. ალბად ამიტომ მათი რწმენაც უფრო ბერდანებისაკენ გადახრილა

„რომელმან აღიმაღლოს მახვილი, მახვილითვე წარიკვეთოს იგი“. ეს უთხრა ქრისტემ ფიცხ პეტრე მოციქულს გეთსიმანიის ბაღში, როდესაც მას თავს დაესხნენ და მის დასაცველად მოციქულმა ხმალი იშიშვლა და ერთს ყური ჩამოაცალა.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ქრისტემ შესძლო ყურის მიბმა თავის ადგილას, ხოლო შესძლებენ თუ არა წმინდა მამანი ამასვე, აი კითხვა რაშია!..

ი. ევდოშვილი.

დედაკაცი ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში

ქალთა მოძრაობის დასაწყისი ჩრდილოეთ ამერიკაში იყო იქაური რევოლუცია,—განმათავისუფლებელი ომი ინგლისთან. იმ ოროს დედაკაცი და მამაკაცი შეერთდნენ, ერთ არსებად გადაიქცნენ და მხოლოდ იმაზედა ფიქრობდნენ, რომ ამერიკა ინგლისელებისაგან გაენთავისუფლებიათ და თავიანთ ქვეყანაში თავისუფლება დამყარებიათ. მამაკაცი იარაღით ხელში იბრძოდა, დედაკაცი კი თოფის პატრონებს ამზადებდა, ოჯახსაც უვლიდა და ამასთანავე არავითარ ხიფათს არ ერიდებოდა, ოღონდ თავისი სამშობლო დამოუკიდებელი და თავისუფალი გაეხადა.

ომი გათავდა. ამერიკამ გაიმარჯვა, თავისუფლება მოიპოვა, ახალ წესწყობილების დამყარებასა და რესპუბლიკის მოწყობას შეუდგა. ეს დრო სწორედ მოხერხებული დრო იყო, რომ ოედაკაცს ესარგებლნა ხალხის აღტაცებით და თავისი კუთვნილი უფლებანი მოეთხოვა, მაგრამ მან ხელიდან გაუშვა ეს შემთხვევა და ყველაფრის გაკეთება მამაკაცს მიანდო, რომელმაც ჩვეულებრივად დედაკაცი დაივიწყა და საზოგადოებრივ ცხოვრების გარეშე დასტოვა. ამან თითქმის არავითარი პროტესტი არ გაღვიძვია. მხოლოდ აქა-იქ გაისმა უკმაყოფილება, რომელიც შემდეგში ცხარე პროტესტად გადაიქცა. 1784 წელს ახალ რესპუბლიკის პრეზიდენტმა ადამსმა კონგრესის დროს შემდეგი წერილი მიიღო თავის ცოლისაგან: „ჩვენ გვინდა, რომ თქვენ, მამაკაცებმა, თქვენს წინაპრებზე მეტი დიდსულოვანება გამოიჩინოთ. ნუ აძლევთ მამაკაცებს განუსაზღვრელ უფლებებს, თორემ ყველა მამაკაცი ჯალათად გადაიქცევაო.“ პრეზიდენტის ცოლს მიემხრნენ განთქმული მოღვაწე ქალები ოტის ვარენი და ცნობილ გენერალ ლის და, რომელთაც ბევრი იმუშავეს ქალთა ემანსიპაციის სასარგებლოდ. მაგრამ აგიტაციის დაწყებამდის საჭირო იყო საზოგადოებრივ აზრის გაღვიძება და ქალთა საკითხის გარკვევა. ბრძოლის ველზე გამოვიდნენ ნასწავლი და დახელოვნებული ქალები—ფრანცისკა რაიტი, ერნესტინა როზე, სარა და ანჟელიკა გრიმკე და ბევრი სხვა. ემანსიპატორებს დიდ დახმარებას უწევდნენ ლიბერალები და ყველა პროგრესისტები, რომელთაც ქალებთან აერთებდა უმახლობელესი მიზანი—მონების განთავისუფლება. პრესსამაც ხმა ამოიღო და ჟურნალ-გაზეთების დიდი უმეტესობა ქალებს მიემხრო. აგიტაცია გაჩაღდა. ქალთა ემანსიპაციის მომხრენი ყოველ შემთხვევით სარგებლობდნენ და საზოგადოებას არ ასვენებდნენ: წერილებს ბეჭდავდნენ, აგიტაციას ეწეოდნენ, რუფერატებსა და ლექციებს კითხულობდნენ.

ამავე დროს ერთ ფაბრიკაზე მომუშავე და მოსამსახურე ქალებმა საკუთარ გაზეთის დაარსება განიზრახეს და ეს აზრი განახორციელეს კიდეც. გაზეთის რედაქტორიც დედაკაცი იყო, თანამშრომელნიც, მოსამსახურენიც და ამწყობნიც. გაზეთმა მალე ისეთი დიდი გასავალი და გავლენა მოიპოვა, რომ მთელ ამერიკის ქალაქებში და მიყრუებულ სოფლებშიაც კი შეხვდებოდა ადამიანი იმის ნომრებს. ამ გაზეთის მიერ მოტანილი სარგებლობა დაუფასებელია. მან აუარებელი დედაკაცი შეაჩვია აზროვნებას, აღზარდა იგი პოლიტიკურად და თავის უფლებებისთვის მებრძოლ ქალების რაზმი გასწვრთნა.

1833 წელს დედაკაცები მონობის მოწინააღმდეგე საზოგადოებაში ჩაეწერნენ და მონობის საწინააღმდეგოდ საჯაროდ გამოვიდნენ აგიტაციით. ამან დიდი დახმარება გაუწია დედაკაცთა მოძრაობას: აუარებელი მომხრე გაუჩინა, მათი სახელი მთელ ქვეყანას მოსდო და მრავალი თანამგრძნობი მოუპოვა. 1840 წელს ლონდონში შესდგა საერთაშორისო კონგრესი მონობის მოწინააღმდეგეთა. კონგრესზე ამერიკელებიც იყვნენ; მიწვეულ დელეგატთა შორის ამერიკიდან რამდენიმე დედაკაციც იყო. მაგრამ დელეგატ ქალებს დიდი შეურაცხყოფა მოელოდა ლონდონში: კონგრესმა გამოაცხადა, რომ რადგან ამერიკელი ქალები პოლიტიკურ უფლებებს მოკლებულნი არიან, ამიტომ მათ დელეგატობა არ შეუძლიანთ და დარბაზიდან ქანდარაზე უნდა ავიდნენო.

ამერიკელ დეპუტატებს შორის ორი დედაკაცი დეპუტატი იყო: ლუკრეცია მოტი და ელისაბედ სვენტონი, რომელნიც ბუნებას საოცარ მჭერმეტყველებითა და ფხიზელ გონებით დაეჯილდოვებინა. მათ თავის თავზე გამოსცადეს დედაკაცის მონობა, შეურაცხყოფა და გადასწყვიტეს ამერიკაში მეორე საქალებო კონვენციის დაარსება. ეს საქმეც მალე მოეწყო. კონვენციამ საზოგადოებისა და პრესსის დიდი ყურადღება დაიმსახურა და აუარებელი წევრი გაიჩინა. ამ საქმეში თავი ისახელა უბრალო სოფლელმა ქალმა, ვინმე ლიუსი სტაუნმა, რომელმაც დიდი გაჭირვება გამოიარა, საკუთარ შრომითა და მეცადინეობით საქალებო უნივერსიტეტი გაათავა და მთელი თავისი ძალ-ღონე და სიცოცხლე ქალთა ემანსიპაციას მოანდომა. 1848 წელს ორჯერ მოწვეულ იქმნა საქალებო კონ-

ვენცია. მეორე კრებაზე შეიმუშავეს და გამოაცხადეს დეკლარაცია ქალთა უფლებებისა. ამ დეკლარაციაში ქალები თხოულობდენ მამაკაცთა და დედაკაცთა თანასწორობას, საუნივერსიტეტო განათლების უფლებას, საარჩევნო უფლებას, თანასწორ უფლებას ქორწინებაში, პირად თავისუფლებას და სხ. ბრძოლა თან და თან გამწვავდა. საქალებო კონვენციები და მათი განყოფილებანი მთელ ამერიკას მოედო, მათი მომხრე პრესსა გაიზარდა; კონვენციებს ამერიკის ყველა დიდ ქალაქში საკუთარი გაზეთები ჰქონდათ და მათ მიტინგებსა და ლექციებს ხომ ათასობით ესწრობოდა ხალხი.

ქალთა მოძრაობის მომხრეთა უმეტესობა დიდის თანაგრძნობით ეკიდებოდა მონების განთავისუფლების საქმეს. იმ დროს პროგრესისტების ყურადღება მხოლოდ მონებისკენ იყო მიქცეული. ასეთ დროს ძალის დაქსაქსვა და დანაწილება საქმეს არ არგებდა; ამიტომ უმეტესობა იმ აზრისა იყო, რომ ყველა პროგრესისტები—დედაკაცები და მამაკაცები—უნდა შეერთებულიყვნენ და როგორმე მოესპოთ ეს სამარცხვინო ჩვეულება,—მონობა. მამაკაცები ჰპირდებოდნენ დედაკაცებს, ჯერ ჩვენ გვიშველეთ და თუ გავიმარჯვებთ, თქვენ საქმესაც შეეუდგებითო. დაიწყო განმათავისუფლებელი ომი, რომელიც 1865 წ. პროგრესისტების სრულ გამარჯვებით გათავდა. მონები განთავისუფლდნენ, ხოლო მათი განთავისუფლებისთვის მებრძოლი დედაკაცები ისევე უფლებებს მოკლებული დარჩენ, როგორც წინეთ იყვნენ. მაგრამ იმედის გაცრუებამ დედაკაცები უფრო გამოაფხიზლა და დაარწმუნა, რომ მათი განთავისუფლება მხოლოდ მათივე ენერგიულ ბრძოლით არის შესაძლებელი.

1869 წელს ორი საზოგადოება დაარსდა ქალთა უფლებების მოსაპოვებლად. 1890 წელს ორივე საზოგადოება შეერთდა, რომელმაც მთელ შეერთებულ შტატების საქალებო საზოგადოებანი მიიმხრო და თვითონ ცენტრალურ ორგანოდ გახდა. ეს საზოგადოება მალე გაძლიერდა და საკმაო ძალა მოიპოვა მთელ ამერიკაში. მისი უმთავრესი იარაღი ისევ აგიტაციაა. ვაშინგტონში ხშირად იმართება ამ საზოგადოების კონგრესი, რომელიც დიდ მოვლენად ითვლება ამერიკელ დედაკაცთა ცხოვრებაში. ბოლოს ამ საზოგადოებამ ერთ უმახლობელეს მიზანს მიაღწია და პეტიციის უფლება მიიღო. ამ პეტიციის დახმარებით 1879 წ. მასაჩუსეტის შტატში დედაკაცმა პირველად გაიმარჯვა და უფლება მიიღო სასკოლო ადმინისტრაციის არჩევისა. სხვა შტატებმაც მიჰბაძეს ამ მაგალითს და ამ ჟამად ამ უფლებით თითქმის ყველა შტატების დედაკაცები სარგებლობენ. ოთხ შტატში დედაკაცებს ყოველნაირი საარჩევნო უფლება აქვთ და შეუძლიანთ ყოველნაირი საზოგადოებრივი თანამდებობანი შეასრულონ. კანზასში ქალს აქტივური და პასივური საარჩევნო უფლება აქვს თემში მონაწილეობის მიღებისა, ხოლო მანტანოსა, ლუიზიანასა და მისისიპში სარგებლობენ მხოლოდ აქტივურ საარჩევნო უფლებით. 1896 წელს კოლორადოს შტატში საკანონმდებლო კრების წევრად აირჩიეს სამი დედაკაცი, ხოლო უტის შტატში იმავე კრების წევრად აირჩიეს ერთი დედაკაცი. კანზასში დედაკაცებს მამაკაცებთან თანაბრად უფლება აქვთ ნაფიც მსაჯულთა კოლლეგიაში არჩეულ იქმნენ.

საარჩევნო უფლება დედაკაცმა თავის ძალ-ღონით მოიპოვა ზოგიერთ მკვლევართა აზრით, დედაკაცის გამოსვლამ საარჩევნო ასპარეზზე დიდი გავლენა იქონია არჩევნებზე იმ მხრით, რომ მას შემდეგ არჩევნები უფრო მშვიდობიანად და წესიერად თავდება. ოჯახის ჰარმონიაც არ დარღვეულა. ხშირად ქმარი და ცოლი ერთმანეთის საწინააღმდეგოდ წასულან მიტინგებსა და არჩევნებზე, მაგრამ ამას მათი შინაური ბედნიერება არ დაურღვევია.

წარსულ საუკუნის პირველ მესამედში ქალებს დაბალ სასწავლებლებში იღებდნენ და ისიც მხოლოდ ზაფხულობით. იმ დროს ქალებისთვის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლების დაარსება აზრადაც არავის მოსდიოდა. 1826 წლიდან, ქალთა აგიტაციის მეოხებით, დაარსდა მრავალი საერო დაბალი და უმაღლესი სასწავლებელი. ასეთ საწავლებლებში ვაჟები და ქალები ერთად სწავლობენ, რამაც მშვენიერი ნაყოფი გამოიღო.

საქალებო სასწავლებლებს უმეტეს ნაწილად სოფლად აშენებენ. ქალს ნება აქვს ამერიკის თითქმის ყველა უნივერსიტეტში შევიდეს. სწავლის გათავების შემდეგ მას ეძლევა ფილოსოფიისა ან მედიცინის დოქტორის წოდება, რაც მათ უფლებას აძლევს ყოველნაირ თავისუფალ პროფესიას მოჰკიდონ ხელი. 1897 წელს ამერიკის კოლლეჯებსა და უნივერსიტეტებში ორივე სქესისთვის ლექციებს კითხულობდა 1575 დედაკაცი, ქალთა კოლლეჯებში—1874 დედაკაცი ტეხნიკურ სასწავლებლებში – 81, კერძო სკოლებში – 765, უმაღლეს კერძო სკოლებში – 4765 და პირველდაწყებით და საქალაქო სკოლებში – 1228: ამ საქმეში დედაკაცები მამაკაცებს სჯარბობენ რიცხვით. ექიმ ქალთა რიცხვი ამ ჟამად 6000-ს აღემატება.

1869 წელს ვექილი ქალებიც გაჩნდნენ. ამერიკის 15 შტატში მათ ადვოკატთა ვორპორაციაში შესვლის უფლება მიეცათ, ხოლო 23 შტატში ნება აქვთ მხოლოდ სასამართლოში საქმის წარმოებისა. ამ ჟამად ამერიკაში რამდენიმე ასი ვექილი ქალია, რომელთა შორის განთქმულია იურისტი ქალი რომინზონი თავის სერიოზულ იურიდულ გამოკვლევებით.

1890 წელს ამერიკაში ირიცხებოდა 2725 მწერალი ქალი, 888 ჟურნალისტი, 10,815 მსახიობი და სხ. ამ რიცხვმა მას შემდეგ, რასაკვირველია, რამდენჯერმე იმატა.

დასასრულ უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა ამერიკელ ქალის იურიდიულ უფლებებზედაც. ამერიკაში ქალი 21 წლის შესრულების შემდეგ ითვლება სრულ ნლოვანად. გასათხოვარს ყოველ ნაირი მოქალაქობრივი უფლება აქვს და შეუძლიან თავისი ქონება თავისუფლად მოიხმაროს; გათხოვილი კი ამ მხრივ ჯერაც არ არის მამაკაცთან გათანასწორებული. 4 შტატში დედაკაცს თავის ქონების მოხმარების უფლება არა აქვს, გარდა ზოგიერთ შემთხვევისა რომელიც კანონშია აღნიშნული, 2 შტატში დედაკაცის შრომის ფული ქმარს ეკუთვნის, 14 შტატში მისი ჯამაგირი ზოგ შემთხვევაში ცოლისაა, ზოგში კი ქმრისა, დანარჩენ 33 შტატში დედაკაცი თავისუფლად სარგებლობს თავის შრომით.

1888 წელს ამერიკაში დაარსდა ამერიკელ ქალთა ეროვნული ლიგა, რომელიც მთელ ქვეყნის დედაკაცებს შეერთებასა და თავიანთ უფლებების მოსაპოვებლად ბრძოლას ურჩევს. ამ ლიგას, რომელსაც ამერიკელები საქალებო პარლამენტს უწოდებენ, აზრად აქვს მთელ დედამიწის ზურგზე ასეთივე ლიგების დაარსება და ერთ საერთაშორისო საქალებო კავშირში მათი შეერთება.

ნ. ტ.

რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი
გამომცემელი თ-დი პავლე ი. თუმანიშვილი.